სამედიცინო გაზეთი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის გამოცემა
გამოდის 1957 წლიდან

№6 (284) ივნისი, 2015 წ. www.tsmu.edu

ნომერშია:

კურსდამთავრებულები – 2015 გვ. 2

ახალი სამაგისტრო პროგრამა გვ. 4

პირველად ქართულად – დიაბეტური ნაწლავი გვ. 5

პროფესორი თეიმურაზ სილაგაძე: მოგონებები პედაგოგზე გვ. 6

სასწავლო ფილმები ფსიქიატრიაში გვ. 6

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია:
ვაჟა ფშაველას გამზირი №33; ოთახი №415
ტ.: 254-24-64

რედაქტორი
დალი გაგეშია
ტ.: 599 76-25-98
579 99-98-09

კორესპონდენტები:
მანანა ფხალაძე
ტ.: 555 29-98-27
დარეჯან კომლაძე
ტ.: 558 17-08-47
ნატო გოლქვაძე
ტ.: 555 28-28-97

ელ.ფოსტა:
medpressa@yahoo.com

იმ საბედისწერო ღამეს ...

13 ივნისის სტიქიური უბედურების შემდეგ თბილისმა საშინელ რეალობაში გაიღვიძა: განადგურებული უბნები, ინფრასტრუქტურა, საბავშვო ქალაქი „მზიური“, ზოოპარკი და, რაც მთავარია, აუნაზღაურებელი ადამიანური დანაკარგი: სტიქიამ 19 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, სამიც უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

გარდაცვლილებს შორის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, **ლიზა ზარანდიაცაა**, ყველასთვის საყვარელი და გამორჩეული ლიზა, როგორც მას ახასიათებენ ახლობლები, მეგობრები, ნაცნობები...

ამ მძიმე დღეებში სამაგალითო ერთსულოვნება გამოავლინეს ახალგაზრდებმა, რომელთა შორის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტებიც არიან – ისინი, თანატოლებთან ერთად, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სტიქიური უბედურების სალიკვიდაციო სამუშაოებში. მისაბაძია თსსუ-ის კურსდამთავრებულების გადაწყვეტილებაც უნივერსიტეტის დამთავრების აღსანიშნავი ღონისძიებისთვის განკუთვნილი თანხის დაზარალებული ოჯახებისთვის გადარიცხვის შესახებ. თუმცა ეს დღეს ჩვეულებრივი ამბავია, ისე როგორც საუნივერსიტეტო კლინიკის ხელმძღვანელობის და ექიმების ინიციატივა დაზარალებულებისთვის უფასო სამედიცინო კონსულტაციების შეთავაზების, მათვის პირველადი საჭიროების საგნების და მედიკამენტების გადაცემის შესახებ. დღეს ხომ ყველა ერთი მიზნით გაერთიანდა: გამოიყვანოს ქალაქი ამ უმძიმესი ვითარებიდან და ჩვეული ცხოვრების რიტმს დაუბრუნოს!

„თბილისი ერთია“

2015 წლის 13-14 ივნისი კიდევ დიდხანს ემახსოვრება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას, უეცრად მოვარდნილმა მდინარე ვერემ 19 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და 45 ოჯახი ღია ცის ქვეშ დატოვა. დაღუპულთა შორის ერთ-ერთი იყო ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ლიზა ზარანდიაც.

14 ივნისს, დღის პირველ ნახევარში, მთელი ქალაქის ახალგაზრდობა ერთ მუშტად შეკრული გაერთიანდა ქვეყნის და ქალაქ თბილისის დასახმარებლად. ეს ამ პერიოდის ერთადერთი პოზიტივი იყო, ახალგაზრდების შემართება მათი საოცარი მობილიზება ამძაფრებდა განცდას რომ „თბილისი ერთია“.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტები ერთ-ერთი პირველები იყვნენ, რომლებმაც გამოიჩინეს მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, ისევე, როგორც ეს მოხდა ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე მოვლენების: 9 აპრილის, აფხაზეთის და 2008 წლის ომების დროს, ქვეყნისთვის ურთულეს პერიოდში. ისინი კოორდინირებას უწევდნენ მოხალისეთა ჯგუფებს, რომლებიც მთელი ქალაქის მასშტაბით გადანაწილებული იყო სხვადასხვა ლოკაციის ადგილებში. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით ყველა შემთხვევის ადგილზე (გმირთა მოედანზე, „მზიურში“, საბურთალოს სასაფლაოს მიმდებარე და ზოოპარკის ტერიტორიებზე, მშრალ ხიდთან) გაიხსნა სამედიცინო პუნქტები, რომლებიც პირველად სამედიცინო დახმარებას უწევდნენ მოხალისეებს (ინიციატორი **თამრი ხეიძე**). მოხალისე სტუდენტების ნაწილი ჩართული იყო გაწმენდით სამუშაოებში ქალაქში არსებულ ყველა ლოკაციაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ჩვენი უნივერსიტეტის უცხოურენოვანი ფაკულტეტის სტუდენტებიც ქართველი მეგობრების გვერდით იდგნენ მთელი კვირის განმავლობაში. ისინი ახორციელებდნენ სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის აღწერას და სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების მიერ შეგროვილი თანხით მუდმივად უზრუნველყოფდნენ დაზარალებულ მოსახლეობას პირველადი მოხმარების ნივთებით, მედიკამენტებით, ტანსაცმლით და საკვები პროდუქტებით. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების ინიციატივით განხორციელდა ყუთის განთავსება სასწავლო კორპუსების შენობაში, საიდანაც შეგროვილი თანხა მოხმარდება დაზარალებულ ოჯახებს. სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად ჩვენი სტუდენტების მიერ შეგროვილი თანხა კულტურული პროექტების საშუალებით, მოხმარდება სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას. სოციალური აქტივობები ამით არ შემოიფარგლება, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით დაგეგმილია სხვადასხვა საქველმოქმედო და ჰუმანიტარული სახის აქტივობები. 30 ივნისს სამედიცინო უნივერსიტეტის „წითელ დარბაზში“ გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი და ღონისძიებიდან შემოსული თანხა სრულად გადაირიცხა სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების ფონდში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის სახელით გვინდა ღრმა მწუხარება გამოვთქვათ და სამძიმარი გამოვუცხადოთ თითოეული დაღუპულის ოჯახს და მათ ახლობლებს აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო.

სამედიცინო უნივერსიტეტის ნარმომადგენლობითი საბჭოს 24 ივნისის გადაწყვეტილებით, ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, გარდაცვლილი ლიზა ზარანდიას ოჯახს, სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტების, ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის სახელით გადაერიცხება 5000 ლარი.

სტუდენტური თვითმმართველობის სახელით მადლობას ვუხდით თითოეულ სტუდენტს, რომლებმაც განსაკუთრებული მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინეს ამ მძიმე დღეებში, აქტიურად იყვნენ ჩართულნი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში და ცდილობდნენ მაქსიმალური დახმარება აღმოეჩინათ თითოეული დაზარალებულისთვის.

თსსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა

კურსდამთავრებულები – 2015

თსსუ-ის კურსდამთავრებულებმა, ტრადიციულად, საზეიმოდ აღნიშნეს უნივერსიტეტის დამთავრება. ისინი, უკვე დიპლომირებული მედიკოსები, ცისფერ მანტიებსა და თსსუ-ის ლოგოიან ყელსახვევებში გამოწყობილნი, უნივერსიტეტის სადღესასწაულოდ მორთულ ეზოში შეიკრიბნენ. ახალგაზრდებს ეს უმნიშვნელოვანესი დღე მიულოცეს და წარმატებები უსურვეს თსსუ-ის რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ**, ვიცე-რექტორმა, პროფესორმა **კახა ჭელიძემ**, მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **თინათინ ჩიქოვანმა** და უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა.

კურსდამთავრებულებმა დადეს ჰიპოკრატეს ფიცი; საზეიმო ვითარებაში გაიჭრა თსსუ-ის ლოგოიანი სადღესასწაულო ტორტიც.

საზეიმოდ აღნიშნეს სასწავლო კურსის დასრულება უცხოელმა კურსდამთავრებულებმაც. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად მათ ეს დღე მიულოცა საპატიო სტუმარმა – ინდოეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოსა და სომხეთში, **სურეშ ბაბუმ.**

საზეიმო განწყობას თან ახლდა სტუდენტობის დასრულებით გამოწვეული ერთგვარი ნოსტალგია, შეგრძნება იმისა, რომ დასრულდა ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი და იწყება მეორე, კიდევ უფრო მეტად საპასუხისმგებლო ეტაპი, რასაც ექიმობა ჰქვია.

„სამედიცინო გაზეთის“ რედაქცია ულოცავს ქართველ და უცხოელ კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის დამთავრებას და წარმატებებს უსურვებს მომავალში.

კონფერენციები

გაცვლითი პროგრამის ფარგლებში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 2015 წლიდან ახორციელებს პროფესორ-მასწავლებლების გაცვლით პროგრამა – „**Mevlanas**“ – თურქეთში, რომლის ფარგლებში ამას წინათ შედგა პირველი ვიზიტი **ყარსის კავკასიის უნივერსიტეტში.**

თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორებმა **ირინე** და **შალვა ზარნაძეებმა,** კავკასიის უნივერსიტეტის (ყარსი, თურქეთი) მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის საზოგადოებრივი ჯანდაცვის აქტუალურ და თანამედროვე პრობლემებზე, ინგლისურ ენაზე წაიკითხეს სალექციო კურსი. ამავე დროს, შედგა საქმიანი შეხვედრები ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებთან. გაზიარებული იქნა პედაგოგიური და სამეცნიერო გამოცდილება, დასახული იქნა თანამშრომლობის ახალი პერსპექტივები.

გაწეული იქნა მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული დახმარება როგორც სასწავლო პროგრამების ფორმირების, დაგეგმვის, სწავლების ფორმების, ლექცია-პრაქტიკუმების წარმართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენების, ასევე, დეპარტამენტის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.

თურქეთის მხარემ: სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა, ადმინისტრაციამ გამოხატეს კმაყოფილება და შემდგომი თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი.

საერთაშორისო სკოლა-სემინარზე

სომხეთში, ქალაქ ჯერმუკში, სომხეთის განათლების და მეცნიერების სამინისტროს და ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ორგანიზებით, ახალგაზრდა მეცნიერთათვის ჩატარდა სკოლა-სემინარი. ღონისძიების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში შედიოდნენ თსსუ-ის ასოცირებული პროფესორები: **ირინე** და **შალვა ზარნაძეები**; თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის მაგისტრი **ერნა პოღოსოვი**. სემინარში მონაწილეობას იღებდნენ თსსუ-ის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები.

სემინარზე წარმოდგენილი იყო ორი პრეზენტაცია: **მარიამ სულაბერიძის** – „საქართველოში საკურორტო ტურიზმის განვითარების შესახებ“, **ხატია კლდიაშვილის** და **ეკა ბობოხიძის** კვლევა – „დასავლეთ საქართველოს სკოლის ასაკის ბავშვთა მოსახლეობის ფიზიკური განვითარების შესწავლა-შეფასების შესახებ“.

ღონისძიების მონაწილეებს სომხეთის განათლების და მეცნიერების სამინისტრომ გადასცა სერტიფიკატები და წარმატებები უსურვა მეცნიერულ მოღვაწეობაში; გამოითქვა სურვილი მომავალი ურთიერთთანამშრომლობის, კერძოდ, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების დაგეგმვის თვალსაზრისით.

გზა დავუღოცოთ პროფესიისკენ!

მივიღე ის, რისი მიღებაც მსურდა...

ექვსი წელი გავატარე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და დიპლომირებული მედიკოსის წოდებაც მივიღე. ერთი შეხედვით, უბრალო სათქმელია, მაგრამ ამ ყველაფრის უკან ძალიან ბევრი რამ იმალება. უნივერსიტეტში ჩაბარების პირველი ემოციები, სახელმწიფო დაფინანსების მოპოვების ემოციები, პირველი სტუმრობა უნივერსიტეტში, პირველი სიამაყე, უნივერსიტეტში გამართული საზეიმო დახვედრა, პირველი ლექცია, ახალი მეგობრები, როგორც ქართველი, ასევე, უამრავი სხვა ქვეყნის წარმომადგენელი, ახალი გარემო, დამოკიდებულებები, ახალი ურთიერთობები, ცვლილებები, ელემენტარულიდან სირთულისკენ მიმართული. ათობით საგანი, ათობით ჩათვლა თუ გამოცდა, ათობით და ასობით გათენებული ღამე, ათობით პედაგოგი, უამრავი სირთულე, პარალელურად მიმდინარე სტუდენტური აქტივობები... მერგო პატივი, ვყოფილიყავი სტუდენტური სამეცნიერო საზოგადოების ხელმძღვანელი, რომელიც 67 წელია უნივერსიტეტში არსებობს. დამოუკიდებლად ცხოვრების ხიბლი, დამოუკიდებლად მიღებული გადაწყვეტილებები, სასწავლო პროცესის პარალელურად მიღებული უდიდესი გამოცდილებები, დაფასება. მიღებული უმნიშვნელოვანესი უნარ-ჩვევები... რამდენი რამ შეიძლება გავიხსენო ამ წლებიდან. მართლაც რომ, ულამაზესი წლებია სტუდენტობა, ამას მხოლოდ მაშინ მივხვდი, როცა დასრულდა ეს ყველფერი. რამდენი რამ გამომივლია, რამდენი რამ მისწავლია ამ ხნის განმავლობაში, რამდენი საქმე მიკეთებია ჩემს მეგობრებთან ერთად, რამდენი წარმატება, იმედგაცრუება... დატვირთული სასწავლო პროცესის მიუხედავად, ბევრია სასიამოვნოდ გასახსენებელი.

ამ ხნის განმავლობაში თვალსაჩინო გახდა ჩვენი უნივერსიტეტის წარმატებები – რამდენი სიახლე დაინერგა ჩვენ თვალწინ... თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არ შევმცდარვარ, როცა ეროვნული გამოცდების სარეგისტრაციო ბლანკში მხოლოდ ერთადერთი უნივერსიტეტი მივუთითე – მჯეროდა გარემოსი და დიდი ოჯახის, რასაც სამედიცინო უნივერსიტეტი ჰქვია და ნამდვილად გამიმართლა – მივიღე ის, რისი მიღებაც ჩვენს რეალობაში მაქსიმალურადაა შესაძლებელი. მხოლოდ ცოდნის მიღების სურვილი მამოძრავებდა, არასოდეს მომითხოვია იმაზე მეტი, ვიდრე ვიმსახურებდი.

საბედნიეროდ, გამორჩეული ჯგუფი შემხვდა – ყველანი კარგები, ნამდვილად ორიგინალურები, კრეატიულები, თავისებურები და მეგობრულები. ჩემთვის საინტერესოდ ჩაიარა ამ წლებმა; მადლობა, მეგობრებო, ამისათვის, ნამდილად კარგები ხართ ყველანი!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გამორჩეული ცოდნის კერაა, დაკომპლექტებული უაღრესად მაღალი დონის აკადემიური პერსონალით, გამორჩეულნი პროფესიონალიზმით, მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგრძნებით, პატრიოტიზმით, უდიდესი პედაგოგიური ნიჭით, ნამდვილად მისაბაძი პიროვნებები არიან. მეამაყება, რომ მქონდა მათთან ურთიერთობის ბედნიერება, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა პროფესორ-მასწავლებელს, რომლებიც დროს და ენერგიას არ იშურებდნენ, რათა ჩვენთვის გადმოეცათ თავიანთი ცოდნა.

ყველაფერს ლოგიკური გაგრძელება აქვს და 6 წლის ნაღვაწი ბოლო ზარზე, ექიმის ფიცის მიღებით დავასრულეთ! ყველაზე ამაღელვებელი მომენტი იყო, როდესაც ექიმის ფიცს მთელი კურსი ერთხმად წარმოვთქვამდით და გავაცნობიერე თუ რეალურად რას წარმოვთქვამდი, ჟრუანტელმა დამიარა, რაღაც სიძლიერე ვიგრძენი... იცით რა ბედნიერება იყო, როცა მარჯვენა ხელით მანტიის ქუდი ცაში შეძახილით ავისროლეთ... დიდებულიაა...

ყველა კურსდამთავრებულს ექიმის ფიცის ღირსეულად აღსრულება მინდა ვუსურვო. წარმატებულ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას გიქადით მომავალი, კოლეგებო!

მინდა მადლობა გადავუხადო უნივერსიტეტს ყველაფერისთვის, მჯერა, რომ ამ ცოდნითა და გამოცდილებით, რომელიც აქ მივიღე, შევძლებ გზა გავიკვლიო იმ მიმართულებით, რაც მიზნად მაქვს დასახული – აუცილებლად გავაგრძელებ სწავლას დიპლომისშემდგომი განათლების მისაღებად, აუცილებლად მივაღწევ მიზანს და წელგამართული დავუბრუნდები უნივერსიტეტს მისი განვითარებისა და გაძლიერებისთვის.

ყოველთვის ვიქნებით ჩვენი უნივერსიტეტის მხარდამჭერები, არასდროს დავივიწყებთ იმ კერას, სადაც მედიცინის ანი-ბანი შევისწავლეთ.

მიხეილ ჯანჯღავა,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ექიმობა ჩემი ოცნება იყო...

რიჟრაჟი წამომეპარა, დღე წამომენთო და მოგონებების კორიანტელი თავზე დამეყარა. კინოკადრივით გაიელვა ჩემს გონებაში ვარდისფერმა დღეებმა. სულ პატარა გახლდით, დედას თეთრ ხალათს ჩავიცვამდი, ფონენდოსკოპს მოვიმარჯვებდი და მეზობელ გოგო-ბიჭებს გულმოდგინედ „ვსინჯავდი“. შემდეგ გამოცდილი ექიმის მზერას დავიჭერდი და ფიქრიანად გამოვაცხადებდი „დიაგნოზს“. დიახ, ექიმობა იყო ჩემი ოცნება... შემდეგ წამი წამს დაედევნა, წუთი – წუთს, დრო ოცნებას წამოენთო და ზმანება სინამდვილეში ამიცხადდა. ბედნიერება მეწვია, 18 წლის გოგონა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. მორიდებულად შევაღე ამ ძვირფასი ცოდნის ტაძრის კარი და სწავლის ძიების დასალიერში გადავეშვი. ჩემს ირგვლივაც ცოდნამოწყურებულმა ახალგაზრდებმა მოიყარეს თავი, ლექტორებიც რჩეულნი დამხვდნენ, მოკლედ, ყველაფერში გამიმართლა. რუტინულ შრომაში, ძიებაში გადიოდა დღეები; ფიქრი ფიქრს მისდევდა, სიზმრად ახდენილი საქმე ძიებიდან დასასრულისკენ მიემართებოდა. მე და ჩემი მეგობრები ჩვენი ლექტორებისგან რუდუნებით გადმოცემულ ცოდნას ვესათუთებოდით, გონებაში ღრმად ვასიგრძეგანებდით ... ასეთ ყოფაში ძალიან სწრაფად გაირბინა დრომ. და აი, დღეს უკვე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები გვქვია. დიახ, ცოდნა მიღებულია, გონება გაწაფული, ცხოვრების გზა სწორხაზოვნად გაკაფული და მომავალში როგორ გამოვიყენებთ ამ ცოდნას, უკვე ჩვენზე იქნება დამოკიდებული.

დღეს კი მეამაყება, რომ ვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული.

მინდა ყველა ჩვენს პატივსაცემ ლექტორს მადლობა გადავუხადო იმ ჯაფისთვის, რაც მათ გასწიეს ჩვენთვის, რათა შეემეცნებინათ პროფესიული საგნები და, გარდა ამისა, ესწავლებინათ ჩვენთვის ადამიანური ღირსებები. მადლობა თქვენ, ჩვენო პროფესორ-მასწავლებლებო, ყველაფრისთვის.

მარიამ კაპანაძე,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

სწორი არჩევანი გავაკეთე!



სულ რაღაც ოთხიოდე წლის წინ, ბევრი ფიქრის, არჩევანის თუ კითხვადარიგების შემდეგ, გრანდიოზული ემოციებითა და დიდი მოლოდინით ჩავაბარე ერთიანი ეროვნული გამოცდები და შემოვაბიჯე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. მახსოვს, როგორი დაბნეულნი ვეძებდით აუდიტორიებს, კათედრებს, ლექტორებს... უცბად გავიზარდეთ, მეტად განვვითარდით და ახლა უკვე ჩვენი წასვლის დროა...

დიდი გამოცდილება, ცოდნა და მრავალი მეგობარი შევიძინეთ ამ პერიოდში, ძალიან ბევრი გამოცდა ჩავაბარეთ და ბევრი ტესტი ვისწავლეთ... მიუხედავად იმისა, როგორ ველოდით ამ დღეს, ახლა დარწმუნებული ვარ, ყველას წყდება გული.

მადლობელი ვარ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და ვამაყობ, რომ აქაური ვარ, ახლა უკვე კურსდამთავრებული მქვია. მართლაც საამაყოა ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების სტუდენტი გვერქვას.

მადლობას გიხდით თქვენ, ჩემო კურსელებო! მიხარია, რომ ეს წლები მშვიდად განვლეთ და მუდამ ერთ მუშტად შეკრულნი ვიყავით!

მინდა გამოვყო ჩემი ჯგუფი – ყოველთვის პირველი, თითქმის უცვლელი შემადგენლობით რომ მოვედით ბოლომდე ერთმანეთის გვერდით დგომითა და ერთმანეთის გატანით! ძალიან მიყვარხართ და მეყვარებით, თქვენ ჩემი აღმოჩენა ხართ!!!

ძალიან, ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ყველაზე მაგარ სტუდენტურ თვითმმართველობას. ბედნიერი ვარ, რომ უნივერსიტეტში ჩაბარების თითქმის პირველივე დღიდან, მათ გუნდში ვიყავი და ვმონაწილეობდი ღონისძიებებში, რომლებიც არა მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტისთვის, ჩვენი ქვეყნისთვისაც უმნიშვნელოვანესი გახლდათ. ეს იყო გამოცდილების შეძენა, უანგარო შრომა, ძალიან დიდი მეგობრობა და სიხარული. მადლობელი ვარ მთელი გუნდის, რომელიც ამ ხნის განმავლობაში არა მხოლოდ ჩემ, არამედ მთელი სტუდენტობის გვერდით იდგა!

მადლობა მინდა გადავუხადო ფარმაციის ფაკულტეტის დეკანატს, რომელსაც მუდამ იმედის თვალით შევსცქეროდით – ისინი ყოველთვის ცდილობდნენ ჩვენს დახმარებას და ჩვენ გვერდით იდგნენ!

აქვე გამოვყოფ და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო სამედიცინო ქიმიის კათედრას. ისინი რომ არა, ალბათ ვერასდროს შევხვდებოდი ადამიანს, რომელიც ახლა ყველაზე მეტად მიყვარს.

სკოლის შემდეგ ეს ის ბოლო ზარია, რომელიც უდიდეს პასუხისმგებლობას გაკისრებს ცხოვრების წინაშე, უდიდესი მწვერვალია, რომლის დაპყრობა წლევანდელმა კურსდამამთავრებლებმაც შეძლეს.

მიხარია ის, რომ დღეს ერთ-ერთი თქვენგანი ვარ და ისიც, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩაბარებით სწორი არჩევანი გავაკეთე!

ნინო გეროზაშვილი,
ფარმაციის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ცვლილებებით უკეთესობისკენ

ძალიან მინდოდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩამებარებინა, რადგანაც იგი დიდ აღფრთოვანებას იწვევდა ჩემში და ვერც კი წარმომედგინა სხვაგან სწავლის გაგრძელება. ასეც მოხდა და მოლოდინმა გაამართლა. სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი ჩემთვის საამაყო გახდა – შევიძინე უამრავი მეგობარი, ასევე, გამოცდილება და ცოდნა, რაც მთავარია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ვარ და მიმაჩნია, რომ ამ პროფესიას ძალიან დიდი მომავალი აქვს. ჩვენ, ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, შესაძლებლობა გვაქვს უკეთესობისკენ შევცვალოთ ჯანდაცვის სისტემა. საკუთარი თავი ვიპოვე ჩემს პროფესიაში და დანამდვილებით ვიცი, ამ სფეროში მუშაობის ყოველი დღე სიამოვნებას მომანიჭებს.

სამედიცინო უნივერსიტეტში გატარებული წლების განმავლობაში ურთიერთობა მქონდა ბევრ არაჩვეულებრივ ადამიანთან. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ჩემი ცოდნა-გამოცდილების შეძენაში, დიდი მადლობა თეატრ ,,ჰიგიას“ და ნათია გუჯაბიძეს, რომელმაც საშუალება მომცა, სტუდენტური ცხოვრება გამელამაზებინა და დატვირთული სასწავლო რეჟიმის პარალელურად, საკუთარი თავი თეატრთან დამეკავშირებინა.

დღეს, როცა უნივერსიტეტს ვამთავრებ, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არასდროს შევცვლიდი გადაწყვეტილებას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტად გახდომის თაობაზე. ყოველთვის სიამაყით ვატარებ ამ ფაკულტეტის კურსდამთავრებულის სტატუსს.

მარიამ ქუტიძე,
საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ფაკულტეტის კურსდამთავრებული

საგზური ცხოვრების გზაზე



მინდა მივულოცო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს და საქართველოს ჯანდაცვის სისტემას 500-მდე ექიმის შემატება!

2009-2015 წლები ჩემი ცხოვრების ყველაზე სასარგებლო და საინტერესო პერიოდია, როდესაც ექიმის პროფესიას დავეუფლე და რეზიდენტურის გავლის შემდგომ ცოდნას, იმედია, უფრო გავიღრმავებ. ამასთან, სტუდენტურ თვითმმართველობაში ჩართულობით, შევიძინე დიდი გამოცდილება მართვის და აქტუალური სტუდენტური პროექტების განხორციელების თვალსაზრისით, რომლის ფარგლებში, მეგობრებთან ერთად, განვახორციელეთ 300-მდე პროექტი – სამეცნიერო კონფერენციების, კულტურული და სპორტული ღონისძიებების, საქველმოქმედო აქციების თუ სოციალური აქტივობების სახით. აქტიურ კონტაქტებს ვამყარებდით ევროპელ კოლეგებთან და ხელს ვუწყობდით ჩვენს სტუდენტებს საერთაშორისო კონფერენციებსა და სამიტებში მონაწილეობის მისაღებად. ამ ყველაფერმა კი, ვიტყოდი, სტუდენტური ცხოვრება მრავალფეროვანი და საინტერესო გახადა – შევიძინე ბევრი მეგობარი, რომელთან ერთად სამედიცინო მოღვაწეობას და საქმიანობას გავაგრძელებ.

ყველაფერ ამისთვის მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ბაკალავრიატის დასრულების შემდეგ, სწავლის გაგრძელებას ვაპირებ რეზიდენტურასა და მაგისტრატურაში და ყოველთვის ვიქნები მშობლიური უნივერსიტეტის გულშემატკივარი, რომელმაც მომცა საგზური ცხოვრების ფართო გზაზე!

გიორგი მიკუჩაძე,
მედიცინის ფაკულტეტის
კურსდამთავრებული

ახალი სამაგისტრო პროგრამა ბიოსამედიცინო ინჟინერიაში

წარმატებული და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მოსამზადებლად

„ბიოსამედიცინო ინჟინერია“ 21-ე საუკუნის მეცნიერების განსაკუთრებით სწრაფად ზრდადი, მულტიდისციპლინური დარგია, რომელიც აერთიანებს ინჟინერიის, ბიოლოგიის, მედიცინის, კომპიუტერული მეცნიერებების ცოდნას და მიმართულია ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისკენ. ბიოსამედიცინო ინჟინერიის საგანს წარმოადგენს სასიცოცხლო სისტემების შესახებ ახალი ცოდნის შეძენა, იმ ინოვაციური ტექნიკის გამოყენება, რომელიც დაფუძნებულია უახლეს საინჟინრო და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევებზე.

სამედიცინო და ბიოლოგიური საინჟინრო დისციპლინების საერთაშორისო ფედერაციის მიერ კლინიკური, ბიოსამედიცინო ინჟინრის სპეციალობა განსაზღვრულია შემდეგი სახით: **„კლინიკური (ბიოსამედიცინო) ინჟინერი არის პროფესიონალი, რომელიც საკუთარი საინჟინრო და მენეჯერული უნარის გამოყენებით, ჯანდაცვასთან დაკავშირებულ ტექნოლოგიებთან ერთად, მონაწილეობას იღებს ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაში“.**

ბიოსამედიცინო ინჟინერიის სპეციალისტთა მომზადება ხორციელდება აშშ-ის 100-მდე უნივერსიტეტში, ასევე, ევროპისა და აზიის ქვეყნების ყველა წამყვან უნივერსიტეტში. სწორედ ამ საერთაშორისო ფედერაციის მონიტორინგით მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ამ სფეროში. კლინიკური ბიოსამედიცინო ინჟინერის სპეციალობა მსოფლიოში, მოთხოვნილების და პოპულარობის მიხედვით, მე-5 ადგილზეა.

ბიოსამედიცინო ინჟინერია მოიცავს ყველა იმ სამედიცინო დიაგნოსტიკური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკური, ბიოსამედიცინო ტექნიკის და ტექნოლოგიების შექმნას, დამუშავებას და მართვას, აგრეთვე, იმ დამხმარე და საორგანიზაციო სისტემების დამუშავებას, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ჯანმრთელობის დაცვა.

ბიოსამედიცინო ტექნიკის კათედრა საქართველოში პირველად 1983 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. კათედრის დაარსების ინიციატორი და ფუძემდებელი გახლდათ პროფესორი **ოთარ ხომერიკი**, რომელიც დღესაც წარმატებით აგრძელებს მოღვაწეობას. წლების განმავლობაში კათედრას ხელმძღვანელობდა გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პროფესორი **რაულ კუპრავა**. სხვადასხვა დროს კათედრის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობაში აქტიურად მონაწილობდენენ აკადემიკოსები: **ფრიდონ თოდუა, მიხეილ ხანანაშვილი, ოთარ ღუდუშაური**.

ამ მიმართულებით ბიოსამედიცინო ინჟინრებზე განსაკუთრებულად მზარდი მოთხოვნის გამო როგორც საერთაშორისო, ასევე, საქართველოს ბაზარზე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. ინტერნაციონალური ხარისხის მიმნიჭებელი პროგრამების განხორციელებას. ევროპის ბევრ უნივერსიტეტში ხორციელდება ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობენ როგორც სამედიცინო, ასევე, ტექნიკური სფეროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები. სწორედ **სამედიცინო და ტექნიკური მიმართულებების უნივერსიტეტების მიერ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხელს შეუწყობს ბიოსამედიცინო ინჟინერიაში ოპტიმალური სამაგისტრო პროგრამის მოდელის შექმნას.**

საქართველოში TEMPUS IV პროექტის – BME-ENA Biomedical Engineering Education Tempus Initiative in Easten Neighboring Area (Project number: 543904-TEMPUS-1-2013-1-GR-TEMPUS-JPCR) ფარგლებში, **თბილისის სახელმწიფო სამედიცინო, საქართველოს ტექნიკური და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაზაზე შეიქმნა ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა – „ბიოსამედიცინო ინჟინერია“,** რომლის მიზანია ბიოსამედიცინო ინჟინერიის სპეციალობით პრაქტიკოსების მომზადების არეალის გაფართოება ევროპიდან აღმოსავლეთით და წარმატებული და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც, ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ექნებათ ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებისა და შესაბამისი ცვლილებების მართვისთვის სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლითაც შესაძლებელი გახდება ბიოსამედიცინო სფეროში მენეჯმენტის გაუმჯობესება და ხელშეწყობა, ორგანიზაციული ცვლილებების მხარდაჭერა, სამედიცინო



პროფილის დაწესებულებებში სამედიცინო აპარატურის და სისტემების მუშაობის მართვა და, საბოლოო ჯამში – წარმატებული და კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადების უზრუნველყოფა.

პროგრამის მომზადებაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ასევე, უცხოელი სპეციალისტები – პატრას (საბერძნეთი), ბოლონიის (იტალია), ბრიუსელის ვრიჯის (ბელგია), ლუბლიანის (სლოვენია), იასის მედიცინის და ფარმაციის (რუმინეთი), ვარნას ტექნიკური (ბულგარეთი), დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიური (პოლონეთი) უნივერსიტეტების პროფესორები, აგრეთვე, კოლეგები უკრაინიდან, მოლდოვადან და სომხეთიდან. ანალოგიური პროგრამით სპეციალისტთა მომზადება წარმოებს პატრას (საბერძნეთი), შჩეჟინის (პოლონეთი), ბრიუსელის ვრიჯ უნივერსიტეტებში (ბელგია).

ბიოსამედიცინო ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამას ვხელმძღვანელობთ: თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივეიცსტეტის სამედიცინო ფიზიკისა და ბიოფიზიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, **თამარ სანიკიძე**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის ხელმძღვნელი, პროფესორი **ირინა გოცირიძე**, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე **ირინე ფხაკაძე**.

ბიოსამედიცინო ინჟინერიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელების პროცესი უზრუნველყოფილი იქნება საქართველოს ტექნიკური, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტების ბაზაზე, შესაბამისი პროფილის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტებით, უნივერსიტეტების მატერიალურ-ტექნიკური რესურსის (თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სალექციო-სასწავლო აუდიტორიების და სასწავლო კურსების შესაბამისი პროფილის ლაბორატორიების, ბიბლიოთეკების, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ინტერნეტ-კლასების) გამოყენებით.

აღსანიშნავია, რომ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტებში არსებობს სიცოცხლის მეცნიერებათა შესწავლის მრავალწლიანი გამოცდილება, ხოლო საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, ბიოსამედიცინო ინჟინერიის მიმართულებით, სპეციალისტების მომზადება მიმდინარეობს საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე. ეს მრავალწლიანი გამოცდილება გამოყენებულ იქნება ახალი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის. ერთობლივი პროგრამა არის კომპლექსური და მასში რეალიზებულია პარტნიორების კოორდინირებული აქტივობა.

პირველი სემესტრი განხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში და, ადამიანის ორგანოთა სისტემების სტრუქტურისა და ნორმალური ფუნქციონირების კანონზომიერებების შესწავლის მიზნით, დაეთმობა თეორიულ საბაზისო სამედიცინო სასწავლო კურსებს, ასევე, ჯანდაცვის სფეროში მოქმედი სამართლებრივი მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძვლებისა და ჯანდაცვის ტექნოლოგიების შესწავლას;

მეორე სემესტრი განხორციელდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში და დაეთმობა მედიცინაში ფართოდ გამოყენებული სადიაგნოსტიკო-სამკურნალო მეთოდების ფიზიკური საფუძვლების შესწავლას და სამაგისტრო კვლევის პროექტის დაგეგმვას;

მესამე სემესტრი განხორციელდება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და დაეთმობა სამედიცინო ელექტრონიკის, ბიოსამედიცინო სიგნალების დამუშავების, სამედიცინო სისტემების მართვის და მოდელირების შესწავლას;

მეოთხე სემესტრი დაეთმობა სამაგისტრო ნაშრომს და იგი შესრულდება უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებული კვლევების თემატიკიდან გამომდინარე სტუდენტის არჩევანის შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლისას ბიოსამედიცინო ინჟინერიის სპეციალობის სტუდენტები გაივლიან სასწავლო პრაქტიკას საქართველოს წამყვან კლინიკებში, სამედიცინო-დიაგნოსტიკურ ცენტრებში – წამლის ხარისხის კონტროლის და სტანდარტიზაციის ცენტრის ლაბორატორიებში, ფარმაცევტული საწარმო – „GMP“-სა და სამედიცინო კორპორაცია „ევექსსში“, ზ. ცხაკაიას ინტერვენციული მედიცინის ცენტრში, სამედიცინო კორპორაცია „ევექს“-ის ქ. ქუთაისის რეგიონულ კლინიკურ საავადმყოფოში, აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკაში, შპს – „ივერმედ“-ის, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის ბაზებზე (ხელშეკრულების და/ან მემორანდუმის საფუძველზე), აგრეთვე, საზღვარგარეთ საერთაშორისო გაცვლით პროგრამების საშუალებით, გარდა ამისა, მონაწილეობას მიიღებენ სამედიცინო აპარატურის მწარმოებელი უცხოური ფირმების მიერ ორგანიზებულ ტრეინინგებში, უახლესი სამედიცინო ტექნიკის და ტექნოლოგიების საერთაშორისო გამოფენებში.

პარტნიორი უნივერსიტეტების – პატრას (საბერძნეთი), შჩეჟინის (პოლონეთი), ვრიჯის (ბელგია) უნივერსიტეტების წამყვანი პროფესორები აქტიურად ითანამშრომლებენ სასწავლო პროცესში, წაიკითხავენ სასწავლო კურსებს, ჩაატარებენ ლექციებს და სემინარებს.

სამაგისტრო პროგრამაზე – **„ბიოსამედიცინო ინჟინერია“** – სწავლების ენა ქართულია (ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რამდენიმე სასწავლო კურსი შეთავაზებული იქნება ინგლისურ ენაზე). პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: ბაკალავრის ხარისხი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; შიგა საუნივერსიტეტო კომპლექსურ გამოცდაზე ინფორმატიკასა და ინგლისურ ენაში მიღებული დადებითი შედეგები (აპლიკანტი უნდა ფლობდეს სულ მცირე, ინგლისური ენის ცოდნის B1(B2) დონეს, რაც დასტურდება საუნივერსიტეტო გამოცდით ინგლისურ ენაში, ან შესაბამისი სერტიფიკატის ფლობით).

„ბიოსამედიცინო ინჟინერიის“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს საქართველოს ტექნიკური, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტების მიერ მიენიჭება ერთობლივი აკადემიური ხარისხი, უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია. კურსდამთავრებულზე გაიცემა დიპლომი, რომელიც ადასტურებს ერთობლივ კვალიფიკაციას. დიპლომის დანართში ზუსტად გაიწერება თუ პროგრამის რომელი ნაწილის შესწავლა მოხდა პარტნიორ უნივერსიტეტში.

ბიოსამედიცინო ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამა მოამზადებს ბიოსამედიცინო ინჟინერიის სათანადო სპეციალისტს, რათა მან შეძლოს ბიოსამედიცინო აპარატურის დამუშავება და სერვისის მიწოდება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე, სამედიცინო-ტექნიკური და კომპიუტერული სისტემების, სამედიცინო საინფორმაციო ტექნოლოგიების დამუშავება და სერვისი; სამარკეტინგო და მართვის ფუნქციების განხორციელება სამედიცინო-დიაგნოსტიკურ და სადაზღვევო ორგანიზაციებში, ჯანდაცვის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება მისი ორგანიზაციის და მენეჯმენტის საშუალებით. პროგრამა ამზადებს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ინჟინერ-მკვლევარს, რომელსაც შეუძლია ბიოსამედიცინო ტექნიკის სფეროში თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენება, ბიოტექნიკური სისტემების მოდელირება, ხელოვნური (ბიოსაინჟინრო) ორგანოების პროექტირება და განვითარება, ბიოსამედიცინო ინფორმაციის დამუშავების თანამედროვე მეთოდების გამოყენება და შექმნა.

ბიოსამედიცინო ინჟინრის სპეციალისტების დასაქმება შესაძლებელი იქნება შემდეგი მიმართულებებით:

კლინიკური ინჟინერი – კლინიკური სამედიცინო და დიაგნოსტიკური ცენტრები;

პროფილაქტიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრები;

უცხოური სამედიცინო აპარატურის მწარმოებელი ფირმების წარმომადგენლობები – წარმომადგენლობითი და დისტრიბუტორული საქმიანობა („Siemens Medical“, „General Electric HealthCare“, „Toshiba“, „Philip“, „Fresenius“, „Abbot“, „Drager“);

სამედიცინო ტექნიკის სერვისული მომსახურების სამსახურები;

ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის სისტემები;

სამედიცინო ტექნიკის მეტროლოგიის, სტანდარტიზაციის და სერტიფიკაციის სამსახურები;

სადაზღვევო კომპანიები.

სამაგისტრო პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტებში კვლევითი უნარების განვითარებას; საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულებს ინტერდისციპლინური განათლება გამოიყენონ ბიოსამედიცინო პრობლემების გადასაწყვეტად; უზრუნველყოფს დარგობრივი ცოდნის მიღებას იმ ხარისხით, რაც აუცილებელია კვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებისთვის; ხელს შეუწყობს მათ კონკურენტუნარიანობას, კარიერულ ზრდას.

აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები, ექიმებთან თანამშრომლობით, მიიღებენ მონაწილეობას საავადმყოფოების სამედიცინო ტექნიკით აღჭურვის პროცესში და შეძლებენ რთული სამედიცინო აპარატურის და სისტემების მუშაობის უზრუნველყოფას კლინიკებსა და სხვა სამედიცინო პროფილის დაწესებულებებში.

თამარ სანიკიძე,
თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი,

ირინა გოცირიძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი,

ირინე ფხაკაძე,
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი

დიაბეტური ნაწლავი

ეძღვნება თსსუ-ის პროფესორების – ოქროპირ გოგიბერიძის და რევაზ სიგუას ხსოვნას

დიაბეტი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქრონიკული დაავადებაა. სხვადასხვა ავტორის მონაცემებით, მოსახლეობის 3%-ს დადგენილი აქვს ეს მძიმე, პროგრესული ავადმყოფობის დიაგნოზი და ითვლება, რომ დედამიწის მოსახლეობის, დაახლოებით, 10%-ს აქვს გამოუვლინებელი (არადიაგნოზირებული) შაქრიანი დიაბეტი, რომელიც აზიანებს ადამიანის ორგანიზმის თითქმის ყველა ქსოვილს და ორგანოს, რაც განაპირობებს მორბიდობის და ლეტალობის მაღალ დონეს. 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში შეიმჩნევა დიაბეტის სახშირის ზრდის ტენდენცია, განსაკუთრებით – ბავშვთა ასაკში, რაც შემაშფოთებელია.

დიაბეტი, I საუკუნის 20-იან წლებში, პირველად აღწერა დიდმა რომაელმა ექიმმა **არეთა კაპადოკიელმა**. მანვე, პირველად, მოაწოდა სახელწოდება – **„დიაბეტი“.** არეთას ეკუთვნის დიარეის პირველი აღწერა და მისი სახელდებაც. მასვე, პირველად მსოფლიოში, აღწერილი აქვს ეპილეფსია, ენურეზი, ტეტანუსი, დიზენტერია, ქოლერა, ცერებრული დამბლა და სხვ. (სულ 20-მდე, მანამდე უცნობი დაავადება). არეთა დაიბადა და გაიზარდა კაპადოკიაში (კაპადოკია დღეს თურქეთის პროვინციას წარმოადგენს). აქ I საუკუნეში მოსახლეობა ძირითადად (90%-მდე) ქართველური ტომებისგან (მოსხების, თუბალების, ლაზ-ჭანებისგან) შედგებოდა. ამ ქართველური ტომებით დასახლებულ ქვეყანაში იშვნენ და გაიზარდნენ ქართველებად შერაცხულნი: მოციქულთა სწორი, წმინდა ნინო – ქართველთა განმანათლებელი, აგრეთვე, წმინდა გიორგი, ასევე, მართლმადიდებელი ეკლესიის ბურჯები: წმინდა ბასილ დიდი კესარიელი, წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველი და წმინდა გრიგოლ ნოსელი. კაბადოკია ხშირად იყო თავდასხმის ობიექტი სპარსეთისა და რომის მხრიდან. I საუკუნის 17 წელს რომმა დაიპყრო კაპადოკია და მრავალი ტყვე წაასხა. მათ შორის აღმოჩნდა არეთა კაპადოკიელი, რომელმაც, იშვიათი მაღალნიჭიერების და განსწავლულობის წყალობით, დაიმკვიდრა ძველი რომის საუკეთესო ექიმის სახელი. მას დარჩა 8 წიგნი საექიმო საკითხებზე (აქედან შემორჩა სამი, რომელიც გვიჩვენებს არეთას დიდ სამკურნალო გამოცდილებას). მას „რომაელ ჰიპოკრატესაც“ კი უწოდებდნენ. არეთას გარდაცვალების შემდეგ (პირველი საუკუნის 40 წელი) გამოჩნდა გალენი, რომელმაც ნაწილობრივ დაჩრდილა წინამორბედის სახელი. მე-17-18 საუკუნეებში დაიწყო არეთას რენესანსი. დაიბეჭდა მისი წიგნები ლათინურ ენაზე, თვითონ არეთა კი „ბერძნულენოვანი“ მწერალი იყო (წერდა იონურ დიალექტზე). მას ხშირად უწოდებდნენ „მედიცინის ლეონარდოს“!

ჩვენ მიერ (ხ. პაჭკორია, ო. გოგიბერიძე) პირველად წამოყენებული იქნა ვერსია არეთა კაპადოკიელის შესაძლო ქართული წარმოშობის შესახებ. ამ თემას ოციოდე წლის წინ მიეძღვნა ჩვენი სტატია თსსუ-ის „სამედიცინო გაზეთში“. აღნიშნული ვერსია გაიზიარეს ცნობილმა ისტორიკოსებმა, ფილოლოგებმა, მედიცინის ისტორიკოსებმა და სხვა.

ის ფაქტი, რომ მედიცინაში „დიაბეტის“ და „დიარეის“ ცნებები პირველად არეთა კაპადოკიელმა შემოიტანა, საშუალებას იძლევა ერთმანეთს დავაკავშიროთ ეს ორი დაავადება, რომელიც შეიძლება ერთსა და იმავე პაციენტს აწუხებდეს.

ექიმებისთვის კარგადაა ცნობილი დიაბეტური გართულებები: მაკრო და



მიკრო ანგიოპათიები, ნეფროპათია (კიმელსტოლ-ვილსონის სინდრომი), ჰეპატოსტეატოზი, ართროპათიები, კარდიოპათია, ოსტეოპათიები, რეტინოპათია, ენცეფალოპათიები და სხვა. ექიმის პრაქტიკაში დამკვიდრდა დიაგნოზები: დიაბეტური ტერფი, დიაბეტური თირკმელი და სხვა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიაბეტი აზიანებს თითქმის ყველა ქსოვილს და ორგანოს, რაც ფართოდ ასახულია სამედიცინო ლიტერატურაში. ბოლო დრომდე ენტეროკოლოპათია რჩება „თეთრ ლაქად“ დიაბეტურ გართულებათა ვრცელ რეესტრში (ნუსხაში).

ქართულ სამედიცინო ლიტერატურაში ერთეული შრომებია მიძღვნილი დიაბეტის გართულებების – დიარეის და შეკრულობის საკითხისადმი (ხ. პაჭკორია, ბ. რაჭველიშვილი, ო. გოგიბერიძე, მ. კოპლატაძე, ე.ადამია, ლ. ძნელაძე და სხვები; 1977-2012 წლები). საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ რუსულ სამედიცინო ლატერატურაშიც ნაკლებადაა ასახული დიაბეტური ენტერიკოლოპათიის საკითხი.

ჩვენ მიერ (1977-2012 წლებში) რესპუბლიკური ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს ენდოკრინოლოგიის და გასტროენტეროლოგიის განყოფილებებში გამოვლენილია დიაბეტური გართულებების – დიარეისა და კონსტიპაციის მრავალი შემთხვევა. დიაბეტის დროს ნაწლავურ დისფუნქციებს – დიარეას და კონსტიპაციებს – განაპირობებს წვრილი და მსხვილი ნაწლავის ავტონომიური (ვეგეტატიური) ინერვაციის მოშლა, რასაც მოსდევს ნაწლავის მოტორულ-ევაკუატორული ფუნქციის დაქვეითება. წვრილი ნაწლავის მოტორიკის დაქვეითება იწვევს ჰიპოტონია-ატონიას, დილატაციას, რაც ხელს უწყობს აერობული და, განსაკუთრებით, ანაერობული ბაქტერიების ჭარბ ზრდას, ანუ დისბიოზს (დისბაქტერიოზს), ამას მოსდევს ბაქტერიების მიერ საჭმლის მომნელებელი ფერმენტების ინაქტივაცია, ნაღვლის მჟავეების დეკონიუგაცია, მაკრო და მიკრონუტრიენტების მალდიგესტია და მალაბსორბცია, რაც კლინიკურად დიარეით მანიფესტირდება. ამ დროს ავადმყოფებს აწუხებს გახშირებული დეფეკაცია (5-10-20 -ჯერ და მეტად), უფრო ღამით. ამიტომ ასეთ დიარეას ღამის დიარეასაც უწოდებენ. ზოგჯერ ავადმყოფებს აღენიშნებათ განავლის შეუკავებლობა, რაც ანალური სფინქტერების ავტონომიური ინერვაციის მოშლის გამო ხდება. ეს არის მეტად მძიმე გართულება და ავადმყოფი გაღიზიანებულია, ვარდება დეპრესიაში. ასეთი ნაწლავური დის-

ფუნქცია (კერძოდ, დიარეა) გვხვდება I ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს (10-30 წლის ასაკში). II ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს აუტონომიური ნეიროპათია უფრო აზიანებს მსხვილ ნაწლავს, იწვევს მის დილატაციას, ჰიპოტონიას, ზოგჯერ – ატონიას. კლინიკურად გამოვლინდება შეკრულობით, ზოგჯერ ილეუსით (R-სკოპიით ჩანს მეგაკოლონი, რომელიც წააგავს პირშსპრუნგის დაავადებას). ასეთი ავადმყოფი „მწვავე მუცლის“ დიაგნოზით შეიძლება ქირურგიულ სტაციონარში მოხვდეს და არასაჭირო ლაპაროტომიაც გაუკეთდეს. გამოცდილი ქირურგი კი თავიდან აიცილებს ოპერაციულ ჩარევას „ცრუ მწვავე მუცლის“ გამო. შეკრულობა უფრო მეორე ტიპის შაქრიანი დიაბეტის დროს გვხვდება, შუახნის და ხანდაზმული (45-60 წლის) ასაკის ქალებში.

სამედიცინო პრაქტიკაში, დიაბეტის დროს, ზოგჯერ შეიძლება შეგვხვდეს შეკრულობა დიარეის მონაცვლეობით (რაც გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომს წააგავს).

წვრილი და მსხვილი ნაწლავის აუტონომიური ნეიროპათია, არცთუ იშვიათად, შერწყმულია საყლაპავის, კუჭის, 12-გოჯა ნაწლავის, ნაღვლის და შარდის ბუშტის დილატაციასთან. ასეთ პაციენტებს საკმაოდ ხშირად უვითარდებათ ქოლელითიაზი და უროლითია.

1988 წელს ჩვენ (ხ. პაჭკორია, ლ. ძნელაძე, ნ. კეკელიძე, ს. გველესიანი) რცკ საავადმყოფოს ქირურგიულ სტაციონარში გამოვავლინეთ ინსულინდამოკიდებული 34 წლის გასათხოვარი ქალბატონი I ტიპის შაქრიანი დიაბეტის მრავლობითი გართულებებით: მხედველობის მკვეთრი დაქვეითებით (რეტინოპათიის გამო), ქვედა კიდურების ანგიოპათიით, „მწვავე მუცლის“ და ილეუსის (ნაწლავის მწვავე გაუვალობის) კლინიკური ნიშნებით. ყურადღებას იპყრობდა მუცლის მკვეთრი შებერვა, ანურია (შარდის შეხუთვა 2 დღე-ღამის განმავლობაში). თავდაპირველად კათეტერით გამოღებული იქნა 3 ლიტრამდე შარდი, რამაც ავადმყოფს დიდი შვება მოუტანა. კონსულტანტმა ნეეროპათოლოგმა აღნიშნა პოლინეირორადიკულოპათია, რომლის დასკვნას დაემთხვა ჩვენი აზრიც და, ვინაიდან ავადმყოფს ერთდროულად ჰქონდა შარდის ბუშტის მწვავე დილატაცია ანურიით, ნაწლავების დილატაცია, ლაპაროსკოპიის საჭიროება ქირურგების მხრიდან (თ. ახმეტელი, ლ. ძნელაძე) გამოირიცხა. კონსერვატიული მკურნალობა ცერუკალის და პროზერინის ინექციებით, ტეტრაციკ-

ლინით, პრებიოტიკებით და ასკანის თიხის პრეპერატებით აღმოჩნდა დამაკმაყოფილებელი. ცხადია, დიდი ყურადღება დაეთმო ინსულინოთერაპიას (მ. კოპლატაძე), ავადმყოფი სტაციონარიდან გაეწერა გაუმჯობესებულ მდგომარეობაში. მას, 2 წლის შემდეგ, განუვითარდა ე. წ. დიაბეტური ტერფის მძიმე გართულება – ფლეგმონა სეფსისით. ოპერაცია – კიდურის ამპუტაციით – აღმოჩნდა უეფექტო და პაციენტი 36 წლის ასაკში გარდაიცვალა (გ. გვასალია, ს. ლალიაშვილი).

დიაბეტური ნაწლავის (ენტეროკოლოპათიის) მკურნალობა საკმაოდ ძნელია და მოითხოვს ენდოკრინოლოგის და გასტროენტეროლოგის შეთანხმებულ მუშაობას. დიაბეტური დიარეის დროს ეფექტურია ალფა-ნორმიქსის ორალური მიღება 6 დღის მანძილზე – 0,5, დღეში 2-ჯერ. შეიძლება ბაქტისტატინის მიღებაც (თითო ტაბლეტი 3-ჯერ დღეში ჭამის წინ, 1 კვირა) ეს პრეპარატები ბაქტერიოციდული, არატოქსიკურია, არ შეიწოვება სისხლში და, რაც მთავარია, არ იწვევს დისბაქტერიოზს.

სამწუხაროდ, ალფა-ნორმიქსით მიღწეული რემისია 1 თვეზე მეტხანს არ გრძელდება და დიარეის რეციდივი საკმაოდ ხშირია. ვინაიდან, დიაბეტური დაირეის დროს წვრილი ნაწლავის მოტორიკა დაქვეითებულია, ლოგიკური იქნებოდა პროკინეტიკების (მოტილიუმის და მისი ანალოგების) მიღებაც. მათი იზოლირებული მიღება (მონოთერაპია) ვერ აღმოჩნდა ეფექტური, თუმცა, კომპლექსურ მკურნალობაში მათი ჩართვა, შეიძლება მიზანშეწონილად ჩავთვალოთ პანკრეასის ფერმენტებთან (კრეონთან) პრებიოტიკებთან ერთად. უფრო კარგი შედეგებია მიღებული დიაბეტური დიარეის დროს ასკანის თიხის პრეპარატებით (ბენტობოლით, ნეოსორბით და სხვ.). სამწუხაროდ, მათი წარმოება რატომღაც შეწყდა და ფრანგული ანალოგი — არჯილა – სრულფასოვნად ვერ ცვლის მათ.

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულ სამედიცინო ძეგლებში – **„უსწორო კარაბადინში“** (მე-10 ს.), მოგვიანებით – **„წიგნი საექიმოი“**-ში, **„იადიგარ დაუდში“** და ზაზა ფანასკარტელის **„სამკურნალო წიგნში“** ხაზგასმით მითითებულია „ქართული თიხის“ უებარი ანტიდიარეულ სამკურნალო ეფექტზე (მ. შენგელია, მ. სააკაშვილი, რ. შენგელია, ხ. პაჭკორია). აქვე უნდა გვახსოვდეს, რომ ასკანის თიხის (ან არჯილას) ხანგრძლივად მიღებამ, შეიძლება დიარეა მოხსნას, მაგრამ საპირისპირო გართულება – შეკრულობა და, რაც ყველაზე საშიშია – ნაწლავის გაუვალობა (ილეუსი) გამოიწვიოს. შეკრულობის მკურნალობა (რაც უფრო II ტიპის დიაბეტის დროს გვხვდება შუახნის და მოხუც ქალებში) შედარებით ადვილია. პაციენტებს ენიშნებათ ხეჭრელას ქერქი, რევანდ-სინამაქის ფოთლები (ან მისი პრეპარატები – სენადე, სენადექსინი და სხვა; მაგნიუმის სულფატი). მედიკამენტებისადმი რეზისტენტობის შემთხვევაში სასარგებლოა გამწმენდი ოყნა. ბოლო დროს დიდი მოწონებით გამოირჩევა გუტალაქსი, პიკოლაქსი, კასანორმი და სხვა ლაქსატივები (გამხსნელები).

როგორდ ზემოთ მივუთითეთ, დიაბეტის დროს, არცთუ იშვიათად, ავადმყოფს შეიძლება აწუხებდეს დიარეა შეკრულობის მონაცვლეობით (რაც წააგავს გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომს). ამ დროს ინიშნება დიუსპატალინი, ანასპანი, მეტეოსპაზმილი, ან სპაზმექსი პრებიოტიკებთან, პანკრეასის ფერმენტებთან ერთად.

დასკვნა: დიაბეტით დაავადებული პაციენტი უნდა იცნობდეს ნაწლავის სხვადასხვა გართულებას, მათ შორის – დიარეას და შეკრულობას. ამ სიმპტომების გამოჩენისთანავე, მან უნდა აცნობოს ოჯახის ექიმს, ენდოკრინოლოგს, გასტროენტეროლოგს, ნევროპათოლოგს, რომელთა შეთანხმებული კონსულტაციით დაინიშნება ადეკვატური მკურნალობა.

ხ. პაჭკორია, მ. კოპლატაძე, ლ. სტურუა, ე. ადამია, ლ. ძნელაძე

სიახლე თსსუ-ის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში

ევროპის პედიატრიული გასტროენტეროლოგიის, ჰეპატოლოგიისა და ნუტრიციოლოგიის საზოგადოების აღმოსავლეთ ევროპის სკოლა თბილისში

თანდათან, შეუმჩნევლად, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის **გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიის აკადემიურ კლინიკაში, ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის (ამჟამად პედიატრიის №2) და ბავშვთა ქირურგიის მიმართულებების თანამშრომლების ძალისხმევით, ბავშვთა გასტროენტეროლოგიის ცენტრი** შეიქმნა; გვაკითხავენ შესაბამისი პროფილის ავადმყოფები, იხვეწება დიაგნოსტიკა, მასმედიის საშუალებით მაღლდება მოსახლეობის გათვითცნობიერება ამ დაავადებების შესახებ, პერიოდულად იკითხება ლექციები ექიმებისთვის გასტროენტოლოგიასა და მოსაზღვრე პრობლემატიკაში, ხორციელდება შესაბამისი კლინიკური კვლევები. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს უნივერსიტეტში სტუმარი პროფესორის როლში, **ბონის უნივერსიტეტის პედიატრიაში ემერიტუს პროფესორის, ცნობილი გასტროენტეროლოგის, მიხეილ ლენტცეს, მოღვაწეობამაც.**

სწორედ ამ ძალისხმევის მაგალითი იყო ევროპის პედიატრიული გასტროენტეროლოგიის, ჰეპატოლოგიის და ნუტრიციოლოგიის საზოგადოების (ESPGHAN) ეგიდით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთობლივი სკოლის ჩატარება ამ ფრიად აქტუალურ პრობლემატიკაზე (აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ღონისძიება განვახორციელეთ 10 წლის წინ, 2005 წელს).

ლექციების წასაკითხად ევროპიდან შვიდი წამყვანი სპეციალისტი ჩამოვიდა: **Ulrich Baumann (გერმანია), Jernej Dolinšek (სლოვენია), Iva Hojsak (ხორვატია), Michael Lentze (გერმანია), Hania Szajewska (პოლონეთი), Nikhil Thapar (გაერთიანებული სამეფო) და Gabor Veres (უნგრეთი).**

სკოლა ჩატარდა მიმდინარე წლის ივნისში. იგი რექტორმა, პროფესორმა **ზურაბ ვადაჭკორიამ,** გახსნა. მისალმებები გამოვიდნენ სკოლის თანადირექტორები – **ყარამან ფაღავა და Jernej Dolinšek**. ცალკეულ სხდომებს, გარდა სტუმრებისა, თავმჯდომარეობდნენ: **ნინო მანჯავიძე, მანანა ხოჭავა, რუსუდან ქარსელაძე, მერაბ ბუაძე, კახაბერ ქაშიბაძე** (ბათუმის უნივერსიტეტიდან), **ყარამან ფაღავა**.

სკოლის თემატიკა მეტად მრავალფეროვანი გახლდათ: მწვავე გასტროენტერიტი, პრობიოტიკები, გასტროეზოფაგური რეფლუქსი, H. pylori ინფექცია, ქრონიკული შეკრულობა, გვერდითი რეაქცია საკვებზე, ცელიაკია, ნაწლავების ანთებითი დაავადებები, თანდაყოლილი დიარეა, გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი, პანკრეასის დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ეოზინოფილური დაავადებები, უცხო სხეული კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, ნეონატალური ქოლესტაზი, ღვიძლის გადანერგვა, ღვიძლის მეტაბოლური დაავადებები, ადრეული ასაკის ბავშვთა კვება, დიეტოთერაპიის აქტუალური საკითხები, კვებადობის სტატუსის შეფასება.

წაკითხული იქნა ლექცია **ბაქტერიოფაგოთერაპიაზე (ყ. ფაღავა)**, მოხსენებები: **„როგორ უნდა წავიკითხოთ სამეცნიერო სტატია“** და **„რა დახმარების გაწევა შეუძლია ESPGHAN-ს“.** მოხსენებებით და შეტყობინებებით გამოვიდნენ **თ. კუტუბიძე, მ. ბუაძე, კ. ქაშიბაძე, ხ. პაჭკორია, ქ. გოგბერაშვილი.**

სკოლის მუშაობაში 60-მდე მსმენელმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის, ერთმა სტუმარმა სომხეთიდან. სხდომებს სტუდენტები და რეზიდენტებიც ესწრებოდნენ. დაისტამბა პრეზენტაციების კრებული, მსურველთათვის ხელმისაწვდომი – ჩვენი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და საჯარო, პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკაში.

მსმენელთა საერთო აზრით, სკოლა საინტერესო და ინფორმატიული აღმოჩნდა, შეიქმნა ასევე, წინაპირობები სამომავლო თანამშრომლებისათვის.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია, მადლობით მოვიხსენიოთ სკოლის მხარდამჭერები: **FRISO, HUMANA, AVERSI, Dr SCHAER, ASTELLAS, JSC BIOCHIMPHARM, BERLIN-CHEMIE, EGIS, ASTRAZENECA, ABBOTT, MATERIA MEDICA HOLDING**.

საბოლოოდ დავსძენდით, რომ ევროპის **პედიატრიული გასტროენტეროლოგიის, ჰეპატოლოგიისა და ნუტრიციოლოგიის საზოგადოების აღმოსავლეთ ევროპის სკოლის — თბილისი, 2015** – წარმატება ჩვენი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის – საქართველოში უმაღლესი სამედიცინო განათლების ალამდრობის – კიდევ ერთი თვალსაჩინო დადასტურება გახლდათ.

პროფესორი ყარამან ფაღავა

ახალი პროექტი

სასწავლო ფილმები ფსიქიატრიაში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში გაიმართა თსსუ-ის ფსიქიატრიის და ნარკოლოგიის დეპარტამენტის ფსიქიატრიის მიმართულების ხელმძღვანელის, პროფესორ **თეიმურაზ სილაგაძის**, პროექტის – **„ვიზუალურ კომპონენტებზე დაფუძნებული სასწავლო-საგამოცდო მასალის შექმნა“** – პრეზენტაცია, რაც სასწავლო ფილმების შექმნის პირველი მცდელობაა ფსიქიატრიაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**, მიესალმა შესანიშნავ წამოწყებას და აღნიშნა, რომ ამგვარი სახით მოწოდებული სასწავლო ფილმები მნიშვნელოვანწილად გაამდიდრებს სასწავლო პროცესს, გახდის მას საინტერესოს და მიმზიდველს. რექტორმა მადლობა გადაუხადა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტებს, მათ პედაგოგს, პროფესორ **გოგი თოდაძეს,** პროექტში მონაწილეობისთვის და სამომავლო ერთობლივი თანამშრომლობის პერსპექტივაზეც ისაუბრა.

პროექტის ხელმძღვანელმა, თსსუ-ის ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტის ფსიქიატრიის მიმართულების ხელმძღვანელმა, პროფესორმა **თეიმურაზ სილაგაძემ,** ისაუბრა არაერთ საკითხზე, რომელიც საფუძვლად დაედო ფილმების გადაღებას, კერძოდ, სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების პროცესის გაუმჯობესებას, სწავლების პროცესში ვიზუალური მასალის მაქსიმალურ ჩართვას, ვირტუალური კომპონენტების მეშვეობით სასწავლო პროცესის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაახლოებას, საგამოცდო პროცესში ობიექტურობის კომპონენტის ხვედრითი წილის გაზრდას. სასწავლო თემატიკის მიხედვით შეირჩა ფილმების რამდენიმე სცენარი – 15 სასწავლო ფილმი დაფუძნებული რეალურ ანამნეზზე, თითოეულ ნოზოლოგიაზე – თითო ფილმი.

გადაღებული იქნა გასინჯვის პროცესი – ინტერვიუ პაციენტთან, რომელიც ფსიქიატრიული კვლევის ძირითად მეთოდს წარმოადგენს. კომპიუტერზე გადატანილ კლინიკურ საუბარს, ემატება ანამნეზი, გამოკვლევებისა და სავარაუდო დიაგნოზების ნუსხა, სავარაუდო გამოკვლევების ნუსხისა და ჩასატარებელი ანალიზების ვრცელი ჩამონათვლიდან გამოსაცდელმა პირმა აუცილებელი უნდა შეარჩიოს, ზუსტად გამოიცნოს თუ რომელია სწორი სხვადასხვა სავარაუდო პასუხიდან. გამოსაცდელ პირს მოეთხოვება სწორად დასვას დიაგნოზი, სინდრომოლოგიურ და ნოზოლოგიურ დონეზე განსაზღვროს მკურნალობის გეგმა, შეარჩიოს მედიკამენტები, სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებები და სხვა.

სასწავლო ფილმები უცხოურენოვანი ფაკულტეტების სტუდენტებისთვისაც დიდი შეღავათია, რომლებსაც, ენის არცოდნის გამო, ავადმყოფთან კონტაქტი უჭირთ. მათთვის ეს ფილმები ინგლისურ ენაზე ითარგმნა.

ფილმებში პაციენტის როლს რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტები ასრულებენ, ექიმებისას – თსსუ-ის ფსიქიატრიის მიმართულების პედაგოგები.

პრეზენტაციაზე გამოსულმა ღვაწლმოსილმა ფსიქიატრებმა, პროფესორებმა **ლიკა მენთეშაშვილმა** და **შოთა გამყრელიძემ,** მოიწონეს თავიანთი ყოფილი სტუდენტის, პროფესორ თეიმურაზ სილაგაძის იდეა და მისი წარმატებით განხორციელება. აღნიშნეს რომ, იგი ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის წინსვლას, ასევე, ხოტბა შეასხეს სტუდენტების სამსახიობო ოსტატობას, რომელიც რეალურისგან არ განირჩეოდა.

ბატონი თეიმურაზი ახლახან გამოცემულ წიგნში – „ფსიქიატრია მწერლის თვალით (თუ პირიქით)“ – მადლიერებით და პატივისცემით მოიხსენიებს თავის პედაგოგებს: „თქვენი ამაგის გადახდას ვერ დაგპირდებით, უბრალოდ, შეუძლებელია. დღესაც თქვენს აზრს ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს“.

რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის დრამისა და კინოს სამსახიობო მიმართულების ასოცირებულმა პროფესორმა **გოგი თოდაძემ** მაღალი შეფასება მისცა ფილმებს და აღნიშნა, რომ მასში მონაწილე სტუდენტებმა მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს.

გამომსვლელებმა, ფსიქიატრიისა და სხვა დარგის სპეციალისტებმა, გამოთქვეს არაერთი მოსაზრება სასწავლო ფილმებთან დაკავშირებით და აღნიშნეს, რომ ეს არის განათლების სფეროში განხორციელებული საინტერესო პროექტი და ისურვეს ანალოგიური ფილმების შექმნა მედიცინის სხვა დარგებშიც.

დასასრულ, პროფესორმა თეიმურაზ სილაგაძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, თსსუ-ის რექტორს, პროფესორ ზურაბ ვადაჭკორიას, თანადგომისა და დახმარებისთვის, ასევე, ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ (დააფინანსა პროექტი) და პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, გამოთქვა სურვილი ფილმების გადაღების გაგრძელებისა.

მანანა ფხალაძე

წიგნიერი ხელოვნება

ფსიქიატრია მწერლის თვალით

„ფსიქიატრია მწერლის თვალით (თუ პირიქით)“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქიატრიისა და ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ **თეიმურაზ სილაგაძის** მეორე წიგნია. გასულ წელს გამოქვეყნდა ავტორის მხატვრული ნაწარმოებების პირველი კრებული – **„მოგზაურობა წარსულში“.**

„თავი უკვე მწერლად წარმოვიდგინე“, – იუმორით აღნიშნავს ავტორი და ახალ კრებულს ასე ახასიათებს: „პირველი წიგნი ათი ნოველისგან შედგება. მეორე ნაწილი ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტს შეეხება, ზოგი პირდაპირაა გადმოცემული, ზოგიც ალეგორიულად. ეს ჩემი შეხედულებებია, თუ გნებავთ, გაიზიარეთ, თუ გნებავთ – არა. რაც შეეხება მესამე ნაწილს, იგი ჩემს კოლეგებს ნამდვილად დაინტერესებთ. იმედია, გახალისდებიან და მოიწონებენ. ესაა ისტორიები, რომლებიც გადაგვხდენია, გვიმხიარულია და შემდეგ სხვებისთვის მოგვიყოლია. ეს ნაწილი, ისევე, როგორც პირველი ორი, დასრულებული არ არის. კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი და დასაწერი. გაგრძელება აუცილებლად იქნება!“

ამჟამად გვინდა ჩვენი გაზეთის მკითხველს ბატონი თეიმურაზ სილაგაძის რამდენიმე ჩანახატი შევთავაზოთ აღნიშნული წიგნიდან ღვაწლმოსილ კოლეგაზე, აწგარდაცვლილ ფსიქიატრ, პროფესორ **ფაიზულ კონტრიძეზე,** რასაც სამედიცინო უნივერსიტეტის შესანიშნავი პროფესორის, ყველასთვის საყვარელი ბატონი ფაიზულის, დაბადების თარიღს ვუძღვნით.

კახელი და გურული

ჩემი, რბილად და კორექტულად რომ ვთქვათ, „აქტიური გადაადგილების“, ხოლო უბრალო გასაგები ენით, სირბილთან მიახლოებული სიარულის შესახებ ყველას კარგად მოეხსენება. გამონაკლისი არც ბატონი ფაიზულა გახლდათ.

ჩემს მეუღლეს ბიძაშვილი ჰყავს, სოსო ყირმელაშვილი, ნაღდი კახელი, დინჯი, აუღელვებელი, საოცრად გაწონასწორებული. ამისთანაზე კახეთში ამბობენ – „მძიმე მძიმედ“ არისო. ნელა დადის, აუჩქარებლად მეტყველებს, ყველაფერს ნელა და საფუძვლიანად აკეთებს.

ჰოდა, ეს ეტალონური კახელი ჩემთან იყო მოსული სამსახურში, ასათიანის ქუჩაზე, ოთახში არ დავხვდი, და მანაც გვერდით კაბინეტში შეიხედა ბ-ნ ფაიზულასთან, სოსო ექიმია და ბ-ნი ფაიზულა მასაც უკითხავდა ლექციებს.

– გამარჯობათ, ბატონო ფაიზულა, როგორ ბრძანდებით? – კლასიკური კახური სიდინჯით მოიკითხა ყველასთვის საყვარელი პროფესორი.

– გაგიმარჯოთ, – პასუხში კითხვაც ერია, რა გნებავთო.

– თემურის ვეძებ და ხომ არ იცით სად არის?

– ფაიზულამ დანანებით შეხედა და უთხრა:

– თემური ხუთი წუთის წინ აქ იყო და გავიდა მაგრამ რა, შენ იმისი დამწევი არა ხარ.

ლექციიდან გათავისუფლება

– გამარჯობათ, ბატონო ფაიზულა, ლექციის დაწყების წინ მოწიწებით მიესალმა ერთ-ერთი სტუდენტი პროფესორს.

– კარგი, წადი, — იყო პასუხი

სტუდენტს სახეზე გაკვირვება აღებეჭდა.

ბ-ნმა ფაიზულამ სწრაფად განუმარტა:

– მეტყვი – გამარჯობა,
– გეტყვი – გაგიმარჯოს,
– მეტყვი – როგორ ბრძანდებით,
– გეტყვი – არა მიშავს,
– მეტყვი – სათხოვარი მაქვს, ბატონო პროფესორო!
– გეტყვი – ბრძანეთ!
– მეტყვი – თუ შეიძლება ლექციიდან გამათავისუფლეთ, ხოდა, ხომ გითხარი კარგი, წადი-მეთქი.

თერგდალეულები

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს ეროვნული მოძრაობის არნახული აღმავლობა დაიწყო. შეიქმნა პირველი არასამთავრობო ორგანიზაციები: შოთა რუსთაველის სახელობის საზოგადოება, სახალხო ფრონტი; იწყებოდა პოლიტიკური პარტიების ფორმირება.

ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები თავიანთ თავს არაფორმალებს უწოდებდნენ. ბატონმა ფაიზულამ მათ „თერგდალეულები“ დაარქვა. ამ არაფორმალ-თერგდალეულების თვალსაცემი ნიშანი, ერთგვარი სავიზიტო ბარათი – მოშვებული წვერ-ულვაში გახლდათ.

ერთხელაც ბატონი ფაიზულა რაღაც კრებაზე იყო. უნდა ითქვას, რომ კრებებზე და სხდომებზე სიარული მას არ უყვარდა და, თუ შესაძლებელი იყო,



მათზე დასწრებას ყოველნაირად თავს არიდებდა. თუმცა იმ კრებაზე დასწრება მაინც მოუხდა.

კრებიდან დაბრუნებულმა კათედრის წევრებს შთაბეჭდილებები გაგვიზიარა:

– კრების თავმჯდომარე თერგდალეული იყო და თანაც, როგორი თერგდალეული! ისეთი კი არა ეტლი რომ გააჩერა დარიალის ხეობაში, მეეტლე ჩააგზავნა თერგის ნაპირთან, ერთი პატარა ჭიქით წყალი ამოატანინა, მოსვა და გზა გააგრძელა, არამედ ისეთი, თვითონ რომ ჩავიდა თერგთან, ჩაიმუხლა, თმა და წვერი ჩაიბანა, წყალსაც პირდაპირ მდინარეში დაეწაფა, აი ასეთი!

თავმჯდომარის ასეთი დახასიათების შემდეგ, იმას რაც კრებაზე მოხდა, მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა.

გადარჩენილები

მე და გოგი ნანეიშვილი ფსიქიატრიის კათედრის ასისტენტები ვართ, კათედრის გამგე ბატონი ფაიზულაა. ორშაბათია, სამსახურში დილით ადრე მივედით. ბატონ ფაიზულას დაგვიანება არ უყვარს, ჩვენ ბატონი ფაიზულა გვიყვარს ამიტომაც ვცდილობთ, არ დავიგვიანოთ. ერთმანეთი მოვიკითხეთ, აღმოჩნდა, რომ უქმეებზე დიდი არაფერი საინტერესო არ გადაგვხდენია, ორივენი სახლში ვისხედით, ტელევიზორს ვუყურებდით, ვკითხულობდით.

გაზაფხულია, კარგი ამინდია, ეზოში ექიმები იყრიან თავს, მათ შორის შალვა ციციაშვილიცაა. აშკარად ეტყობა რომ საუკეთესო გუნებაზეა.

– გუშინ ძალიან გამიმართლა, – ჰყვება ბატონი შალვა. ვიჯექი ამ კვირა დღეს სახლში ჩემთვის, არაფერს განსაკუთრებულს არ ვაკეთებდი. მოულოდნელად ავადმყოფის პატრონებმა დამირეკეს, არ ვიცი საიდან გაიგეს ჩემი ტელეფონი, და თელავში ავადმყოფის გასინჯვა მთხოვეს. უარი არ მითქვამს. მანქანით მომაკითხეს და წამიყვანეს. დიდი არაფერი სირთულის შემთხვევა იყო, ასე, ნახევარი საათი გავჩერდი, ისიც იმისათვის რომ ამხელა გზაზე ჩემი ჩამოსვლა გამემართლებინა, დანიშნულება დავუწერე და წამოვედი. აქეთობაზე რესტორანში შემიპატიჟეს და კარგადაც მაქეიფეს, რომ გამომაცილეს, ერთი ქილა თაფლი, ერთი თავი კახური ყველი და კონვერტით ფული – სამასი მანეთი მომცეს.

– აი, ასეთი პაციენტი რომ მომცა თუნდაც კვირაში ერთხელ, – ინატრა ერთ-ერთმა იქ მყოფმა კოლეგამ.

– ორ კვირაში ერთხელ იყოს ნეტავ, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, დაუწია თამასა შალვამ.

– არადა, ჩვენც არ გვაწყენდა ესეთი პაციენტები, გადავულაპარაკე გოგის.

– გვაწყენდა კი არა, დაგვხატავდა, – კვერი დამიკრა მან.

ამ საუბარში კათედრაზე ავედით. ბატონი ფაიზულა კარგა ხნის მოსული გახლდათ, მივესალმეთ.

– ისე, უნდა გითხრათ, რომ მე სულ თქვენზე ვზრუნავ, – დაიწყო ბატონმა ფაიზულამ, ეტყობა რაღაცის თქმა უნდა და ვერ ისვენებს.

– მაგაში ეჭვი არასოდეს შეგვიტანია, არ ვაცლით სათქმელს მე და გოგი.

– არა, ზოგადად კი არა კონკრეტულ საქმეზე ვამბობ, – აგრძელებს, ბატონი ფაიზულა. მოკლედ, კვირას სამსახურში მოვედი, კათედრის სამეცნიერი საქმიანობის ანგარიშები მქონდა დასაბეჭდი. ვზივარ ჩემთვის და საბეჭდ მანქანას ვუკაკუნებ. ამ დროს ორი კახელი შემოვიდა და ავადმყოფთან წასვლა მთხოვეს თელავში. ცივი უარი ვუთხარი. არ მომეშვნენ, მაშინ ვინმე თქვენი მოწაფე მაინც გვირჩიეო. ორივენი ძალიან მიყვარხართ და იმხელა გზაზე წასასვლელად როგორ გაგიმეტებდით? მეც ავდექი და შალვა ციციაშვილის ტელეფონი მივეცი. აი ხომ ხედავთ, როგორ ვზრუნავ თქვენზე.

ხსოვნა

ვახტანგ ყიფიანი

საქართველოს სამედიცინო და სამეცნიერო საზოგადოებამ მეტად მტკივნეული დანაკლისი განიცადა – გარდაიცვალა **ვახტანგ ყიფიანი**, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს პათოფიზიოლოგთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, ალერგოლოგთა და იმუნოლოგთა ასოციაციის წევრი, საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი.

ბატონი ვახტანგ ყიფიანის მოქალაქეობრივ ღირსებათა და პროფესიულ დამსახურებათა ჩამონათვალი სრულიად უფერულდება იმ კეთილშობილებას, საიმედობას, გამბედაობას, პრინციპულობას, ინტელექტსა და ქარიზმასთან, ბატონი ვახტანგი რომ ფლობდა და, მართლაც რომ, სიცოცხლის ბოლო დღემდე ასხივებდა. იგი გულუხვად უნილადებდა სიყვარულს ირგვლივ მყოფთ; ბატონი ვახტანგი ბრძანდებოდა ემპათიის, დელიკატურობის და კომპეტენტურობის მაგალითი სტუდენტებისა და კოლეგებისთვის თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის (ამჟამად – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის) დამთავრებისთანავე, 1967 წლიდან, ბატონმა ვახტანგმა ცხოვრება და საქმიანობა დაუკავშირა მის Alma Mater-ს; მას სხვაგან არ უღვაწია; სამედიცინო უნივერსიტეტი მისი ნაწილი იყო და – პირიქით; აქ მან განვლო აკადემიური და პროფესიული კარიერის ყველა საფეხური: იყო სამედიცინო ინსტიტუტის პათოფიზიოლოგიის კათედრის ასპირანტი, ასისტენტი (1971-1976), დოცენტი (1976-1988), პროფესორი (1988-1990), 1990 წლიდან კი კათედრის (2006 წლიდან – დეპარტამენტის) ხელმძღვანელი. 1994-2005 წწ. ვახტანგ ყიფიანი სამედიცინო უნივერსიტეტის პრორექტორი იყო სამეცნიერო მუშაობის დარგში. იმ პერიოდში – საქართველოსთვის ურთულეს, ფორმაციული გარდაქმნების ეპოქაში – მართლაც გამორჩეული ნიჭი და უნარი იყო საჭირო სამეცნიერო აქტივობისთვის მნიშვნელოვანი ადამიანური, ტექნოლოგიური და მეთოდური რესურსების ეფექტური მართვისა და გამოყენებისთვის. ამ ამოცანას ბატონმა ვახტანგმა ისევე ღირსეულად გაართვა თავი, როგორც მას ჩვევია. თავად იგი ბრძანდებოდა არაერთი სამეცნიერო პროექტის ავტორი, შემსრულებელი და მოდერატორი არამარტო მის საყვარელ სფეროში – პათოფიზიოლოგიაში, არამედ ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სხვადასხვა მიმართულებით. ხაზგასასმელია ვახტანგ ყიფიანის და მისი გუნდის წევრების კვლევები მიკროჰემოცირკულაციის, მათ შორის – შაქრიანი დიაბეტი დროს, სიმსივნეში სისხლის მიმოქცევის, სიმსივნეზე ქიმიოთერაპიული პრეპარატების მოქმედების გაძლიერების, სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის დროს ერითროციტების მემბრანის, ბიოლოგიური ჟანგვისა და აზოტის ოქსიდის როლის, პარანეოპლაზიური პროცესების მექანიზმების, თავის ტვინის ნეიროდეგენერაციული დაზიანებების დროს ოქსიდაციური სტრესის მექანიზმების, საქართველოს ფლორის წარმომადგენელთაგან მიღებულ ნივთიერებათა სამკურნალო ეფექტის შესწავლის მიმართულებით. მისი კვლევის შედეგები ყოველთვის იყო სარწმუნო, დამაჯერებელი, მათი ანალიზი – ღრმა და ყოვლისმომცველი. ამიტომაც იმსახურებდა იგი კოლეგების ინტერესს და ნდობას საქართველოში და მის ფარგლებს მიღმა. ბატონი ვახტანგის კვლევის შედეგები შეფასებული იყო საუკეთესო ნაშრომად თუ მოხსენებად საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებზე კანარის კუნძულებსა და სინგაპურში. ვახტანგ ყიფიანმა საქართველოში დატოვა პათოფიზიოლოგიის მძლავრი სამეცნიერო სკოლა, განავითარა და გაამდიდრა რა მისი დიდი მასწავლებლების – ვორონინის, ზაალიშვილის, ნათაძის – სამეცნიერო და აკადემიური მემკვიდრეობა.

ბატონი ვახტანგი ავტორია 190-მდე სამეცნიერო პუბლიკაციის, რამდენიმე მონოგრაფიის; თითოეული მათგანი არა ერთი და ორი მკვლევარისთვის იყო, არის და იქნება სარწმუნო გზამკვლევი სამეცნიერო იდეების რეალიზებასთან დაკავშირებულ ლაბირინთებში. მომავალ მედიკოსთათვის სრულიად ფასდაუდებელია 10 ორიგინალური სახელმძღვანელო და სრული სალექციო ელექტრონული კურსი პათოფიზიოლოგიაში, შედგენილი მედიცინის სხვადასხვა მიმართულების დარგობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით. ეს სახელმძღვანელოები ვახტანგ ყიფიანის სამეცნიერო და აკადემიური კომპეტენციის კვინტესენციაა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი და აღმწერი ორი საიუბილეო წიგნის სულისჩამდგმელი ვახტანგ ყიფიანი ბრძანდებოდა: 2000 წელს – სამედიცინო უნივერსიტეტის 70 წლის, 2010 წელს – 80 წლის იუბილეებთან დაკავშირებით. ეს წიგნები. უპირველესად, მის სახელს უკავშირდება. სამწუხაროა, რომ დღეს ბატონი ვახტანგ ყიფიანი თავად გახდა სამედიცინო უნივერსიტეტის მდიდარი ისტორიის ერთ-ერთი ძალიან ღირსეული, საპატივცემულო, სამაგალითო ფურცელი.

გულწრფელად და გულისტკივილით უნდა ვთქვათ – ბატონი ვახტანგ ყიფიანის გარეშე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ვერ იქნება ისეთი, როგორიც მასთან ერთად იყო. ბატონ ვახტანგს შეეძლო მოწოდების სიმაღლეზე ყოფილიყო ყოველთვის – როგორც მეგობარი, გულშემატკივარი, მკვლევარი, პროფესორი, კოლეგა, ადმინისტრატორი.

ბატონი ვახტანგის წასვლით ჩვენს საუნივერსიტეტო ოჯახს ბურჯი გამოეცალა...

პროფესორ ვახტანგ ყიფიანის კომპეტენტურობა, ობიექტურობა, ინტელექტი, ჰუმანიზმი, სიყვარულის გაცემის და მიღების უნარი, მეგობრობის ნიჭი მუდამ სამაგალითო იქნება მისი მოსწავლეებისთვის, კოლეგებისთვის, მეგობრებისთვის, ახლობლებისთვის; ჭეშმარიტი მორალური ფასეულობანი მისი ბუნების ორგანული ნაწილი იყო და ამას იგი ყოველდღიურად ადასტურებდა სიტყვით და საქმით, რომელნიც არასდროს შორდებოდა ერთმანეთს.

ვახტანგ ყიფიანის საქმეს აგრძელებენ მრავალრიცხოვანი, მადლიერი მოსწავლეები, მოყვარული და მისი წასვლით უკიდურესად გულნატკენი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, ახლობლები.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ქედს იხრის ვახტანგ ყიფიანის ხსოვნის წინაშე და გულისტკივილით ემშვიდობება მას.

გვიყვარხართ, ბატონო ვახტანგ!
მშვიდობით!

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ალბერტ ეინშტაინ 120 წლისთავის ერისადმი

ღირსეული ექიმი და პიროვნება

სულ ახლახან, საქართველოს რეპროდუქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, პროფესორ **არჩილ ხომასურიძის** ინიციატივით, აღინიშნა ცნობილი ქართველი ექიმის – გამოჩენილი მეან-გინეკოლოგის, პროფესორ **იოსებ ჟორდანიას**, დაბადებიდან 120 წლის იუბილე.

პროფესორ იოსებ ჟორდანიას ღვაწლის შესახებ სამედიცინო მეცნიერებასა და პრაქტიკულ საქმიანობაში, ვრცლად ისაუბრა ბატონმა არჩილ ხომასურიძემ.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 1958 წელს იოსებ ჟორდანიამ ჩვენს დედაქალაქში დააარსა **ქალის ფიზიოლოგიის და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**, რომელიც დღესაც ჩვენი ქვეყნის სიამაყეს წარმოადგენს. ინსტიტუტში დაინერგა იმ დროის შესაბამისი კომპლექსური კლინიკურ-ლაბორატორიული, ჰორმონალური, რენტგენოლოგიური, ანდროლოგიური, ექსპერიმენტული მეცნიერული კვლევის მეთოდები ქალის და მამაკაცის უნაყოფობის მიზეზების გამოსავლენად. ამასთან, ბატონი იოსები ინსტიტუტის თანამშრომლებისთვის ეწეოდა პედაგოგიურ-საგანმანათლებლო საქმიანობას. მისი ინიციატივით, ინტენსიურად ტარდებოდა სესიები და კონფერენციები, მიძღვნილი ქალის და მამაკაცის უნაყოფობის საკითხებისადმი, გამოიცემოდა შრომათა კრებული — „უნაყოფო ქორწინება“. ამასთან, ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პერიოდულად, საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან იწვევდა წამყვან მეან-გინეკოლოგებს, ენდოკრინოლოგებს, ანდროლოგებს ჩვენს ინსტიტუტში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის და მისი შედეგების გასაცნობად.

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იოსებ ჟორდანიას მიერ დაარსებული ინსტიტუტი, ქვეყნის მასშტაბით, შინაარსით და პროფილით, იმ დროისთვის ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრს წარმოადგენდა. მნიშვნელოვანია, რომ ბატონი იოსები არა მარტო ქალისა და მამაკაცის სასქესო სფეროს პათოლოგიურ პროცესებს შეისწავლიდა, არამედ იმ გარემო ფაქტორებსაც (სოციალური პირობები — საბინაო, მატერიალური და დასაქმების საკითხები) ითვალისწინებდა, რაც, ზოგადად, განაპირობებს რეპროდუქციული ასაკის ადამიანებში დროულ ქორწინებას. ამ შრომატევად საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისთვის ინსტიტუტის ხელმძღვანელი ხშირად იწვევდა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, მეცნიერებათა აკადემიის წევრებს, საზოგადო მოღვაწეებს, სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რომლებიც ეცნობოდნენ ინსტიტუტის მუშაობის თემატიკას, აქტიურად იყვნენ ჩართულნი არსებული არაერთი მწვავე საკითხის მოგვარების საქმეში.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბატონი იოსების ჩამოსვლა სამშობლოში განაპირობა იმ დროისთვის აქ არსებულმა შობადობის დაბალმა და ხელოვნური აბორტების მაღალმა პროცენტულმა მაჩვენებელმა. მან დატოვა მოსკოვის კლინიკა, სადაც წლების მანძილზე მოღვაწეობდა და ჩამოვიდა საქართველოში, რათა თავისი ნიჭი და შესაძლებლობანი მეტად მნიშვნელოვანი ეროვნული საქმის აღორძინებისთვის მიეძღვნა.

პროფესორმა ი. ჟორდანიამ ქართულ ენაზე შექმნა სახელმძღვანელო მეანობაში; ამასთან, იგი გახლდათ ავტორი მრავალი სამეცნიერო ნაშრომი. სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო ყველა ჩანაფიქრის განხორციელება – ტრაგიკულად დაიღუპა ავიაკატასტროფაში, როდესაც თავისი კუთვნილი სამაშველო რგოლი დათმო პატარა გოგონას სიცოცხლის გადასარჩენად. ამ ამაღლებულ ადამიანურ, კეთილშობილურ შემართებას, როგორც ცნობილია, არაერთი ლექსი თუ გახსენება მიეძღვნა. ასე რომ, მის გმირობას დავიწყება არ უწერია.

არ შემიძლია არ მოვიგონო მისი გლოვის დღეები, როცა ამ უდიდეს ექიმს პატივი მიაგო ქართველმა საზოგადოებამ და უკანასკნელ გზაზე გააცილა ღირსეული ადამიანი, ღვაწლმოსილი და დამსახურებული მეცნიერი, ექიმი, ერისშვილი... ბატონი იოსები დაიკრძალა დიდუბის პანთეონში.

ბატონი იოსებ ჟორდანიას დაწყებული საქმე გააგრძელეს პროფესორებმა **ჯემალ ციციშვილმა** და **თენგიზ მესხმა**, რომელთაც თავიანთი წვლილი შეიტანეს ინსტიტუტის წინსვლის საქმეში. 1984 წელს კი **ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის** ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი **არჩილ ხომასურიძე**. მისი დამსახურებაა, რომ დღეს ისევ არსებობს **ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი**. მან შეძლო იოსებ ჟორდანიას მიერ დაარსებული ინსტიტუტის შენარჩუნება, მისი იდეის, ჩანაფიქრის განხორციელება. ბატონი არჩილი ინსტიტუტს 28 წელი ხელმძღვანელობდა და ამ ხნის მანძილზე მან ღირსეულად გააგრძელა იოსებ ჟორდანიას მიერ დაწყებული ეროვნული საქმე — ინსტუტუტში სისტემატურად ინერგებოდა უშვილობის დიაგნოსტიკის და მკურნალობის თანამედროვე მეთოდები. მან შექმნა ახალი სამედიცინო დისციპლინებისგან განსხვავებული მიმართულება, რომელიც შედგება ენდოკრინოლოგიისა და გინეკოლოგიისგან, მეანობისა და ანდროლოგიისგან.

იოსებ ჟორდანიას დაწყებული დიდი საქმე დღესაც ღირსეულად გრძელდება მის მიერ დაარსებულ რეპროდუქტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ბატონი ა. ხომასურიძის ხელმძღვანელობით.

ცირა ჯანიაშვილი,
ექიმი რეპროდუქტოლოგი

გამოსახვანი

ტანია კისელიოვა

49 წლის ასაკში გარდაიცვალა მრავალი წლის განმავლობაში ჩვენი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი **ტატიანა (ტანია) კისელიოვა**. თბილისის მკვიდრმა უმაღლესი მათემატიკური განათლება საქართველოში მიიღო. მუშაობდა არამკაფიო ლოგიკის განხრით. საკანდიდატო დისერტაცია აკადემიკოს ვ. ჭავჭანიძის ხელმძღვანელობით დაიცვა, მერე დოცენტ თ. გაჩეჩილაძესთან მუშაობდა. სადოქტორო დისერტაცია მათემატიკურ კიბერნეტიკაში გერმანიის ქალაქ დორტმუნდში დაასრულა, დაიცვა მშობლიური თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და აქვე განაგრძო მუშაობა ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტზე.

ტ. კისელიოვას კვლევების დიდი ნაწილი სამედიცინო თემატიკასთან იყო დაკავშირებული. თითქმის 20 წელი ნაყოფიერად ვთანამშრომლობდით ბავშვთა და მოზარდთა მედიცინაში არამკაფიო ლოგიკის მიდგომების გამოყენებაზე. ჩვენი ერთობლივი ხელმძღვანელობით ერთი დისერტაცია იქნა დაცული, მეორე მსვლელობაშია, გამოქვეყნდა 20-მდე ნაშრომი როგორც საქართველოში, კერძოდ – Georgian Medical News-ში, ასევე – უცხოეთის მაღალრეიტინგულ გამოცემებში; გვქონდა ერთობლივი მოხსენებები საზღვარგარეთ როგორც მათემატიკურ, ასევე, პედიატრიულ და მედიცინაში სამედიცინო გადაწყვეტილების მიღების ასოციაციის კონგრესებზე. იგი რეგულარულად მონაწილეობდა ბავშვთა და მოზარდთა მედიცინის ყოველწლიურ კონფერენციებზე თბილისში. მოზარდთა ქცევა, უცნობი ეტიოლოგიის ცხელება, იშვიათი დაავადებები, კლინიკური კვლევების მეთოდოლოგია — ესაა არასრული ნუსხა იმ აქტუალური სამედიცინო საკითხებისა, რომელთა მიმართებაშიც გამოვიყენეთ არამკაფიო ლოგიკის მიდგომები. ბევრი რამ გვქონდა დაგეგმილი სამომავლოდ, მაგრამ ვაგლახ...

სულ ახლახან არამკაფიო ლოგიკის პიონერის, Lotfi Zadeh-ის პატივსაცემად Springer Berlin Heidelberg-ის გამომცემლობამ სპეციალური კრებული გამოსცა – Studies in Fuzziness and Soft Computing, 2013. მასში გამოქვეყნდა ტ. კისელიოვას სტატიაც – “Fuzzy” in Georgian is “aramkapio”. ასე რომ, არამკაფიო ლოგიკის ამ კიდობანზე ქართული ვარსკვლავის გაჩენაც ქალბატონი ტანიას დამსახურებაა.

ქალბატონ ტანიას კიდევ ერთი საინტერესო ჰობი ჰქონდა, ალბათ დედისგან, თბილისის კონსერვატორიის დოცენტისგან, ქალბატონ ელენე კისელიოვასგან, ნაზიარები – საქართველოს ბუნებისა და ისტორიული ძეგლების სიყვარული. მეგობრებთან ერთად თითქმის მთელი საქართველო ჰქონდა ფეხით შემოვლილი.

შესანიშნავი პიროვნებისა და საჩინო ქართველი მეცნიერის, ქალბატონ ტანია კისელიოვას ხატი მარად დარჩება მეგობრებისა და კოლეგების ხსოვნაში.

პროფესორი ყარამან ფალავა

პოეზია

სიყვარულია ყველაზე და ყველაფრის მარადონ-ალმართი

ამ ამის ადვილი, იყო პოეტი, თან ექიმი. უმაღლეს და უნატიფეს სენტენციათა ერთობლიობა, პატრიოტული სულისკვეთება, თან მშვენიერი ჰაბიტუსის ელფერი დაჭრავს ამ ყველაფერს...

მინდა მედიცინის ფაკულტეტის კურსდამთავრებული – ნინო მელიქიშვილი წარმოგიდგინოთ, რომელსაც მაღალესთეტიკური და მაღალიდეური სინტაგმები ხიბლავს, ყველა სტრიქონი პატრიოტიზმითაა გაგაჯერებული, ყველაფერში ქართული გენის უკვდავყოფა იკვეთება და სიყვარულია ყველასა და ყველაფრის ბატონ-პატრონი. წარმატებებს ვუსურვებ მას ცხოვრების ასპარეზზე, იდგეს იქ, სადაც „ცეცხლი და ქარიშხალია“ , „ჩვენც ექიმები საქართველოსი!“

გიორგი გაგუა,
„სამედიცინო გზეთის“ სტუდენტური გვერდის ხელმძღვანელი

ხორცისგან ხსნილი

ჭრელი ცოდვებით სამოსელს დახრულს,
ვატარებ მხრებით უნანელ წარსულს,
წამით ან წუთით, ამქვეყნად დარგულს,
ნუ მომწყვეტ მინდობს, ღიმსება დაფლულს.
ხორცისგან ხსნილი, შევძლებ კი ფრენას?!
სულის პერანგის ნარღვევი გულით
ძაფის აგებას, ჭრილობის კემსვას,
შფოთით ნართავი ძარღვების წნულით.

არ დაუკრძალავს ტაოს ნათლული

შემოეძარცვათ მანდილი ნუშებს,
მიწიდან თხრილებს, ნუგეშით მშიერებს.
შეუჭმუხნიათ შუბლები ღრუბლებს,
ზეცისკენ შლილებს, საავდროდ რეკილებს.
არ დაუკრძალავს ტაოს ნათლული,
რეკავს სამრეკლოს აწმყო წარსულით.
ლოცვით პურდება ხანთა მარხული,
მუხლში იშლება რწმენა ხახულით.
სულშემხვარ კვირტებს, ზედაშეს აწოვს,
ფეიდგამხდარ თშკის სატკივარს ახლობს,
მაჭრის დუღილში გოლგოთას აქსოვს,
ღვინად ნაბადებს, საუფლოს მადლობს.

სამშობლოს მეკერდზე ესვენა კვართი

ღადადებს სისხამს ბალახი ცვარით,
დიდგორისს აისს უგალობს ჩქამით,
ცისკრის ჰანგები დავითის ქნარით
სიკვდილ–სიცოცხლის ნაფერი წამით.
სულს მოუღოდა ღიმსება სანთლით
მხარ–ბეჭი რწმენის შემტკიცდა მადლით.
სამშობლოს მეკერდზე ესვენა კვართი,
ზეცას სხეულს სამოსლად ნართი.

ცოდვის ხალები

ღრუბლებს ასიებს ცოდვის ხალები,
უამინდობა ჭლექით ავადობს,
ბავშვის სურნელი მდევდა წამები,
დამდგარ სიბერეს სენი თავადობს.
ლეჩაქმოხდილი თრთიან ღაწვები,
ხანშიშესული უღვთო საზრდელით,
წელში მოხრილი სახის ნაკვთები,
თავჩაღუნული მღვრიე სათქმელით.
ზეცით ნაფერი მრთელი თვალებით,
მძრწამსს შეხიზნული უფლის განგებით,
ჭექდა, ბორგავდა სიყრმე ქარებით,
აღქაფებული სისხლის ტალღებით.
ბედითმა ტვირთმა უძრები ძვლების
თავს იდო ზიდვა მხცოვანი მხრებითს
საწუთოდ, ფრინავს სიცელქე ფრთების,
საწუთროს რაჟამს ვეცლებით წლებით.

ისტორიულ კატაკლიზმებზე, სტიქიურ უბედურებებზე, ტრაგიკულ შემთხვევებზე მსჯელობა-საუბარი, უარყოფითი განცდების და უბედურების ეპიცენტრში მყოფი ადამიანების ტკივილის გათვალისწინებით, ერთგვარ უხერხულობასაც უკავშირდება. თუმცა 13 ივნისის ტრაგედიამ იმდენად მძლავრად შეანჯღრია საზოგადოების ცნობიერება და იმდენ ადამიანს უბიძგა საკუთარი სულის ლაბირინთების კვლევისკენ, ღირს თუნდაც ორიოდე სიტყვით შევეხოთ რა დაგვანახა, რა წარმოაჩინა, რაზე დაგვაფიქრა ამ უბედურებამ.

უპირველესად, შეუძლებელია დიდი გულისტკივილი არ გამოვხატოთ ადამიანების დაკარგვის გამო, რომელთა სიცოცხლე და ლამაზი ოცნებები სამუდამოდ გაიყოლა წყალმა...

ასევე, მოვისაკლისებ დღეს იავარქმნილ ჩემს საყვარელ „მზიურს“, ვერეს ხეობას და ლამის მთელ უბანს, რომელიც სტიქიამ მიწასთან გაასწორა...

ამ საშინელი სურათის ერთგვარი კონტრასტი იყო ახალგაზრდებით გადავსებული ვერეს ხეობა, შიშველი ხელებით რომ ცდილობდნენ მძიმე რეალობის შეცვლას... მედიასა თუ სოციალურ ქსელებში დღეს აქტუალურია გულისამაჩუყებელი გამოხმაურებები ახალი თაობის ამ უანგარო მოქალაქეობრივ აქტივობაზე; არიან სკეპტიკოსებიც, ერთგვარ მოდურ ტრენდს რომ უკავშირებენ ამ აქტივობას (და განა რა შეიძლება იყოს უფრო აქტუალური ტრენდი, ვიდრე მოყვასის თანადგომა?!). თუმცა ესეც ბუნებრივია: ჩვენში ხომ უკვე კარგა ხანია დამკვიდრდა გულგრილი, „სულერთია“ დამოკიდებულება ყველაფრისადმი, რაც შენ არ გეხება... ისევ აქტუალურია ჯერ კიდევ როდინდელი ილიას წუხილი: „ვაი, იმ ქვეყანას, საცა თითოეული ყველასთვის არ ფიქრობს და ყველა თითოეულისთვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი...“

ასე მოვედით ეპოქამდე, რომლის ყველაზე გამოუსწორებელი მანკიერების მხილებას პოეტის დიდი გამბედაობით ნათქვამი სტრიქონები დასჭირდა:

„თავისუფლები ვყოფილვართ
მონათმფლობელურ რომში,
ახლა კი ვლოღნით გალიებს
ამ კაცთმოყვარულ დროში“.

კიდევ არაერთ პოეტს უთქვამს ამაზე სხვაგვარად (უცნაურია და ზოოპარკის ასოციაციაც თავისთავად მოვიდა).

ალბათ ბევრს გააახსენდა ძველი აღთქმიდან: მოსემ 40 წელი ატარა უდაბნოში ებრაელი ერი, რათა აღთქმულ მიწაზე ახალი თაობა მიეყვანა, რადგან თაობა, რომელიც თავისუფლებაში იშვა, თავისუფალია მონური მსოფლმხედველობისგან. შესაბამისად, უკეთ ხელეწიფება ბრძოლაც, შენებაც, წინსვლაც...

როცა მომავლის მკითხველი თვალს გადაავლებს ამ საზარელი ტრაგედიის ქრონიკას, ერთ პოზიტიურ აღმოჩენას მაინც გააკეთებს ამ მოხალისე ახალგაზრდების და ჩვენი დროის გმირების შესახებ, ტრაგედიის დროს მრავალთა სიცოცხლე რომ იხსნეს საკუთარის საფრთხეში ჩაგდების ფასად. და მაშინ გურამ ასათიანისეული ცნობილი ფრაზაც: „ოკეანემდე ჯერ კიდევ ძალიან შორსაა“, – ზედმეტად პესიმისტურად მოეჩვენება, რადგან ახალი თაობის დღეს ასე მკაფიოდ და შთამბეჭდავად გაცხადებული ცხოვრებისადმი დამოკიდებულების ანბანი კათარზისის ნიშანია, კათარზისი კი – უთუოდ უკეთესი მომავლის წინაპირობა.

ნატო გოლქვაძე

ვახსენება

მანანას განშორებამ დაგვაცარიელა...



ტკივილი, სიცარიელე, განცდები ერთობ რთულია ჩვენთვის, **მანანა კოპლატაძის** მეგობრებისთვის, მისი ამქვეყნიური ცხოვრებიდან განშორების გამო. არსთაგამრიგემ იგი წუთისოფელში სიკეთის, ერთგულების, სიყვარულის, უანგარობის საჩვენებლად მოავლინა და ზედმიწევნით შეასრულა კიდეც ეს მისია... მანანამ უხინჯოდ მოიხადა ვალი ქვეყნის, ახლობლების, მეგობრების, სტუდენტების, კოლეგების, პაციენტების წინაშე, თუმცა, კიდევ ბევრი შეეძლო, მაგრამ არ დასცალდა.

2015 წლის 12 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, დასრულდა გამოჩენილი ქართველი ექიმი-ენდოკრინოლოგის, პედაგოგის, თავდადებული მამულიშვილის, დიდი ორატორის, მანანა კოპლატაძის მარტვილობა (წამებული ცხოვრება). იგი უკურნებელი სენისგან გარდაიცვალა. საგულისხმოა, რომ მიწიერი ცხოვრების მეორმოცე დღეს ამაღლდა მისი მრავალტანჯული სული, რომელიც დაემთხვა უფლის ამაღლების დღეს...

მანანას, მიუხედავად პროფესიული აღმასვლისა და წარმატებებისა, მრავალი ჰქონდა სატკივარი, განსაკუთრებით სათაყვანებელი ქვეყანა, რომლისთვისაც ავადმოსაგონარ 90-იან წლებში არ მორიდებია მოძმეთაგან გასროლილი ტყვიის ზუზუნს; 9 აპრილს კი საოცრად გადაურჩა ნიჩაბს... შინაგან ხმას იყო მინდობილი, რომელიც თავისუფლებას, გულმოწყალებას და სინდისიერებას უკიჟინებდა... ...არც არასდროს შეწინააღმდეგებია ამ ხმას, ბოლომდე მისი ერთგული დარჩა...

მანანა 1947 წელს ბათუმში დაიბადა. აქვე, ოქროს მედალზე, დაამთავრა I საშუალო სკოლა და, რადგან მისი შთაგონება ექიმობა იყო, ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. აქედან დაიწყო სწორედ მანანას თვალსაჩინო პროფესიონალ ექიმად ჩამოყალიბების პროცესი. სტუდენტობის წლებშიც გამორჩეულმა, ლენინის სახელობის სტიპენდიატმა, 1970 წელს წარჩინების დიპლომით დააგვირგვინა ეს ხანა და ლენინგრადში, 1971-73 წლებში, სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, აკადემიკოს **ბარანოვის** ხელმძღვანელობით. მას აჩრდილივით დაჰყვებოდა წარმატებები. 1974 წელს, ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, დაუბრუნდა მშობლიურ ინსტიტუტს და თერაპიის კათედრის ასისტენტად დაიწყო მუშაობა, სადაც დაჰყო ორი წელი და 1976-1994 წლებში დაიკავა ენდოკრინოლოგიის კათედრის ასისტენტის თანამდებობა. 1995-2006 წლებში ამავე კათედრის დოცენტია; 2006-2015 წლებში „სამკურნალო სახლის“ ენდოკრონოლოგი, პარალელურად კი საქართველოს ენდოკრინოლოგთა საზოგადოების გამგეობის წევრია.

1974 წელს ლენინგრადიდან სამედიცინო ინსტიტუტის თერაპიის კათედრაზე დაბრუნებულმა ახალგაზრდა მეცნიერმა ქალბატონმა მალე მიიპყრო კათედრის გამგის და სამედიცინო ინსტიტუტის რექტორის, თვალსაჩინო სამედიცინო მოღვაწის, პროფესორ **კონსტანტინე ვირსალაძის**, ყურადღება, რაც იშვიათი მოვლენა იყო. სწორედ მანანა კოპლატაძე იყო ერთ-ერთი ის პიროვნება, რომელიც დიდი ენთუზიაზმით და სიხარულით შეხვდა ბატონი კოტეს იდეას – ენდოკრინოლოგიის კათედრის შექმნის შესახებ და კოლოსალური ენერგია მიუძღვნა ხსენებული კათედრის დაარსებას, შემდეგ კი თავდაუზოგავად იღვწოდა კათედრის საქმიანობის მაღალკვალიფიციურ დონეზე წასამართავად.

მანანა იყო უნიჭიერესი, მისაბაძი, მაღალი კლასის პროფესიონალი. მის აზრს ყურადღებით ისმენდნენ და ანგარიშს უწევდნენ კოლეგები, სამედიცინო საზოგადოების ავტორიტეტული წარმომადგენლები. სტუდენტებისთვის იგი უსაყვარლესი პედაგოგი და მეგობარი იყო. მისი ღიმილის, სითბოს, გადაგებული მზრუნველობის გამო, მადლიერი პაციენტები არ იღლებოდნენ მის მოლოდინში. გასაოცარი ენერგიის პატრონი გახლდათ. მოსმენისა და ამოუწურავი რჩევა-დარიგების უნარი ჰქონდა, პაციენტს კარებამდე გააცილებდა, კიდევ შეახსენებდა – როგორ მოქცეულიყო, იმედით ავსებდა, თითქმის განკურნებულს უშვებდა... ამიტომაც უყვარდათ იგი, ამიტომაც დაეძებდნენ მას პაციენტები, როცა მანანა ვერაგმა სენმა სარეცელს მიაჯაჭვა...

ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა ეს უსათნოესი პიროვნება, დატოვა მონატრება, უკიდეგანო სიყვარული და ნათელი კვალი. მის ლამაზ სხეულში დიდი სულიერება, შესაშური შინაგანი კულტურა, შემოქმედებითი ნიჭი და სიკეთე ბუდობდა. მის ასეთად ჩამოყალიბებაში, უდავოდ, მნიშვნელოვანი წვლილი იმ შესანიშნავ ქართულ ოჯახს მიუძღოდა, სადაც მანანა დაიბადა და აღიზარდა.

მანანა იყო სანიმუშო მაგალითი როგორც შვილი, და, დეიდა, მამიდა...

საოცრად განიცადა მანანამ მშობლების გარდაცვალება, მაგრამ სულიერად და ფიზიკურად მაშინ დაეცა, როცა შვილის დარად გაზრდილი დისშვილი, მომავალი ექიმი, ავტოავარიამ იმსხვერპლა... თუმცა მისი გაუსაძლისი მწუხარება ამით არ დამთავრებულა, უკურნებელმა სენმა სიცოცხლე მოუსწრაფა მის სათაყვანებელ ძმას, სრულიად ახალგაზრდას, თანშეზრდილს და კოლეგას, ცნობილ ენდოკრინოლოგს, პროფესორ **კობა კოპლატაძეს**, რომელიც პროფესიული მოღვაწეობის გასაგრძელებლად მიწვეული იყი დიდ ბრიტანეთში... სამწუხაროდ, ყოველივე ეს საბედისწეროდ აისახა მანანას სამომავლო ცხოვრებაში.

ამბობენ – შეუცვლელი არავინაა, იქნებ ასეა, მაგრამ მანანას შემთხვევაში ამ გამონათქვამს ვერ დავეთანხმებით, რადგან ვერავინ შეგვიცვლის, მის ადგილს ჩვენში ვერავინ დაიკავებს...

ძალიან მოგვენატრებით, მანანა!

ნათელში იყავ, ნათელო ადამიანო და მეგობარო!

მეგობრები

სპორტი

ტურნირი უცხოელების მონაწილეობით

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის უცხოურენოვანი სტუდენტური თვითმმართველობის (ხელმძღვანელი **თარაკა შრინათა დუნევლა),** სპორტისა და ხელოვნების წარმომადგენლის – ხერატას ორგანიზებით, ასევე, თსსუ-ის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორის, ბატონი **ზაურ ფხალაძის** თანადგომით და ამავე ცენტრის თანამშრომლის, სამედიცინო უნივერსიტეტის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელის, ტურნირის მთავარი მსაჯის, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის, **ვახტანგ ბაქანიძის,** ინიციატივით, გაიმართა ტურნირი მინი-ფეხბურთში, რომელიც მიეძღვნა ცნობილი ქართველი სპორტული ფოტოკორესპონდენტის, ბატონი **ალექსანდრე (სანდრო) კოტორაშვილის** სახელობის თასის გათამაშებას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ბატონი სანდრო ჩვენი ქვეყნის სპორტული ცხოვრების შესანიშნავი მემატიანეა. მისი სურათები ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპის თუ რესპუბლიკური ჩემპიონატებიდან და შეხვედრებიდან, თავის დროზე თვალსაჩინოდ შუქდებოდა და არანაკლებ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დღევანდელი პრესის ფურცლებზეც. არაერთხელ მოეწყო ავტორის ფოტოსურათების გამოფენაც, დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს რომ იწვევდა არა მარტო ჩვენთან, უცხოეთშიც.

მინი-საფეხბურთო ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა სამედიცინო უნივერსიტეტის 12-მა გუნდმა, რომლებიც დაიყო ორ ქვეჯგუფად, 6-6 გუნდით თითოეულ ჯგუფში. ქვეჯგუფებიდან გასული ორ-ორი საუკეთესო გუნდი კი – **ნიგერიის და ერაყის** – გავიდა ნახევარფინალში. პირველი ნახევარფინალის ძირითადი და დამატებითი დრო 2:2-ით დამთავრდა, პენალტების სერიაში, ანგარიშით – 4:3-ით, გაიმარჯვა ნიგერიის პირველმა გუნდმა; მეორე ნახევარფინალი კი, ანგარიშით – 5:3, მოიგო ნიგერიის მეორე გუნდმა. ორივე ნახევარფინალი საინტერესოდ წარიმართა. რაც შეეხება მესამე გუნდს, ნახევარფინალში, თამაშის ხარისხით, დებულების თანახმად, მიეკუთვნა ერაყის მეორე გუნდს. ფინალში, კი, რომელიც ძალიან საინტერესო გამოდგა, ერთმანეთს ორი ნიგერიული გუნდი შეხვდა. ეს იყო მართლაც, ბრძოლა გამარჯვებისთვის, რომლის ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, გადამწყვეტი გამარჯვების გოლი კი გაიტანა თსსუ-ის ნაკრები გუნდის წევრმა **კლიფ ნჯამ** და მატჩი 2:1-ით დასრულდა ნიგერიის პირველი გუნდის სასარგებლოდ.

გუნდები თასებით და შესაბამისი მედლებით დააჯილდოვა ბატონმა **სანდრო კოტორაშვილმა**. აქვე დასახელდა გამორჩეული ფეხბურთელებიც: მეკარე – **სამსონ ჩუკვუმა-ოკოროავორი**, ბომბარდირი – 11 გატანილი ბურთით – **იკემეფუნა ისრაელ ონუოჰა**; ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა **კლიფ ნჯა (ყველა ნიგერია)**. ამასთანავე, დასახელდნენ გამორჩეული ერაყელი ფეხბურთელებიც – საუკეთესო თავდამსხმელი – **იასირ თაირ სადამი**, ტექნიკური ფეხბურთელი კი – **ოსინ ალაა.**